ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"+ „ბითლზი"

8 ლარი

23 ნოემბრიდან




სამშაბათი, 29 ნოემბერი, 2011 №283 (5663) ფასი: 30 თეთრი

# საჯარო რეესტრი: „ქართული ოცნება" უკვე დარეგისტრირებულია გვ. 7



გვ. 3

## უგულავა პრესის წინააღმდეგ

## ალა ჯიოევა პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა გვ. 2

დამარცხებული კონკურენტი სასამართლოში ჩივის





## გელა მთივლიშვილი: „ყოველ წუთს ველოდები საჩიშვილის მხრიდან ძალადობას" გვ. 5

პროკურატურა ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს არა და არ იძიებს

გვ. 7

## ლაშა ჩხარტიშვილი: თბილისელებს მალე აირწინაღით მოუწევთ სიარული



## რატომ დაასვენეს მოკლული პატიმრის ცხედარი საპყრობილის წინ

გიორგი ტუღუში მურთაზ ზოდელავასაგან ნაწამები პატიმრის საქმის გამოძიებას მოითხოვს



გვ. 5

## რამაზ საყვარელიძე: პოლიტიკურ ბრძოლაში დემაგოგიის კარგად გამოყენებას საკმაოდ მაღალი პოლიტიკური უნარები უნდა გვ. 4





## რა რეიტინგი აქვს გვ. 7 ბიძინა ივანიშვილს

## დეპუტატთა გვ. 3 რიცხვის გაზრდის სამართლიანობაზე კვლავ ვერ თანხმდებიან

გვ. 6



## რუსეთის ზრახვებს მომავალი არ უწერიათ

ISSN 1987-9385

**2** საპარლამენტო კომიტეტი მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდება

**3** მერია: ახალ სავაჭრო ჯიხურებში პრესის გაყიდვაც იქნება შესაძლებელი

**2** ლევან ვეფხვაძე სოციალური გრანტების ზედა ზღვრის აწევას ითხოვს

**4** ნოტარიუსების მომსახურების საფასურს მთავრობა დაადგენს

# ალა ჯიოევა პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა

## დამარცხებული კონკურენტი სასამართლოში ჩივის

თეა მარხვაიძე

ედუარდ ჯაბეიჩს ალღომ უმტყუნა. ჯიოევა პრეზიდენტი თითქმის გახდა, გაფანდარატებული კოკოითის კი ქალთმოძულის იარლიყი შერჩა. ახლა კი ამტკიცებს, ქალებს არფერს ვერჩიო, მაგრამ ვინლა დაუჯერებს.

ჯიოევას საარჩევნო შტაბი უკვე გამარჯვებას ზეიმობს. არადა, მთლად საზეიმოდ არა აქვთ საქმე. მისმა კონკურენტმა ანატოლი ბიბილოვმა არჩევნების შედეგევი გაასაჩივრა.

კრემლის ფავორიტი ბიბილოვი ამ შედეგით გაოგნებულია. წესით და რიგით მას ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ არჩევნები პირველივე ტურში მოეგო.

არჩევნების პირველი ტური აქ 13 ნოემბერს ჩატარდა. კრემლის ფავორიტად ის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე შერაცხეს. ის კრემლის ნებიერად დუმის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავკაცმა კონსტანტინ კოსაჩოვმა გამოაცხადა.

ის ცხინვალში 8 ნოემბერს ჩავიდა, სადაც კოკოითიმ მას ბიბილოვის მხარდამჭერი მიტინგი დაახვედრა. მიტინგის მონაწილეებს დუმის მაღალჩინოსანი პირადად ეახლა და მოახსენა კრემლი ამ კაცს უჭერს მხარსო.

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, ცხინვალში გამოკითხვა ჩაატარეს. რომელმაც გამოავლინა, რომ ბიბილოვს თითქმის არავინ უჭერდა მხარს. კოსაჩოვის განცხადების შემდეგ მისმა რეიტინგმა მკვეთრად აიწია. ისევე როგორც ალა ჯიოევას რეიტინგმა. ამ უკანასკნელს მხარდაჭერა ძამბოლატ თედეევმა გამოუცხადა. ეს უკანასკნელი თავადაც აპირებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. სწორედ ის ითვლებოდა ფავორიტად.

ეს შესანიშნავად უწყოდა კოკოითიმაც. ამიტომ ყველაფერი გააკეთა, რომ მას არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო. ამაში მას კანონიც დაეხმარა. კანონმდებლობის მიხედვით, მას მართლაც არ ეკუთვნოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

თედეევი რისი თედეევი იქნებოდა ამას მარტივად შეგუებოდა. დიდი ფიქრის შემდეგ მან როგორც იქნა, აირჩია მხარდასაჭერი ობიექტი. ასეთი ალა ჯიოევა აღმოჩნდა.

როგორც კი თედეევმა ეს განცხადება გააკეთა, ჯიოევას რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა. ადგილობრივები მას ისედაც იცნობდნენ. თავის დროზე მას სამხრეთ ოსეთის განათლების მინისტრის პოსტი ეკავა. კოკოითისთან უთანხმოების შემდეგ ოპოზიციაში წავიდა და პოსტიც დატოვა.

არჩევნების პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პირველ ტურამდე მხოლოდ 11 კანდიდატმა მიაღწია. არადა, რეგისტრაცია 17-ს ჰქონდა გავლილი. 6 კანდიდატმა სხვადასხვა მიზეზით თქვა უარი არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. უარის მიზეზი ბიბილოვი იყო. ყველამ ერთხმად განაცხადა, ბიბილოვს კრემლი უჭერს მხარს და ჩვენ რა ნამუსით უნდა ვიყაროთ კენჭი შენს წინააღმდეგო.

როგორც ამბობენ, იმ არჩევნებში კოკოითი მხარს გიორგი კაბისოვს უჭერდა, სწორედ ამით იყო განპირობებული ის მაღალი რეიტინგი, რაც მას თავიდან ჰქონდა. მისი გაყვანა გადაწყვეტილიც ყოფილა. მოსკოვიდან ჩამოსულმა კოსაჩოვმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ცხინვალში კი არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, რომელშიც ალა ჯიოევა და ანატოლი ბიბილოვი გავიდნენ. ყველა რატომღაც მამაკაცი კანდიდატის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. მათ რიგებში იყო ედუ-

> თუ არაფერი შეიცვალა, ალა ჯიოევა პირველი ქალი იქნება, ვინც კავკასიის რეგიონში გაპრეზიდენტება მოახერხა. მართალია ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ არჩევნებს კანონიერად არავინ აღიარებს, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიცია დაირღვა. არადა, კოკოითი რა დაჟინებით ამტკიცებდა, კავკასიაში და ცხინვალში ქალი პრეზიდენტი ვერ გახდებაო.



ალა ჯიოევა

არდ კოკოითიც. რუსულ მედიასთან საუბარში მან განაცხადა, რომ ქალი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ვერასდროს გახდებოდა.

— გამორიცხულია, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ქალი გახდეს. ქალების საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, მაგრამ ეს კავკასიაა, — განაცხადა კოკოითიმ.

ამის გამო მას ოსმა ქალებმა ქოქოლა დააყარეს და ათასგზის წყევლა შეუთვალეს. ოსი ქალების წყევლა კი როგორც ამბობენ, ყვავს ჩამოაგდებს ხიდან. ამ წყევლამ კოკოითის სანახევროდ უკვე უწია. არჩევნებში მისმა პირადმა მტერმა გაიმარჯვა. სხვათა შორის, ასე მოიხსენია მან ალა ჯიოევა.

ჯიეოვაზე ალერგია ჰქონდა, მაგრამ თვალში არც ბიბილოვი მოსდიოდა. თავიდან ეს ყველას ჭორი ეგონა. მერე გაირკვა, რომ ეს სიმართლე იყო. მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე კოკოითიმ თქვა, რომ არჩევნებში არცერთ კანდიდატს არ მისცემდა ხმას.

არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე ბიბილოვი რუსეთის პრეზიდენტმა დააფასა.

ვლადიკავკაზში ჩასულმა რუსეთის პრეზიდენტმა ბიბილოვს მხარდაჭერა გამოუცხადა. ეს განცხადება ყველამ კრემლის ღია მხარდაჭერად შეაფასა. ერთადერთი ვისაც ამის არ სჯეროდა ალა ჯიოევა იყო. მან თავი გაიგიჟა, გინდა თუ არა მითხარით, სადა თქვა მედვედევმა მხარს ბიბილოვს ვუჭეროო.

26 ნოემბერს საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა კონსტანტინე კოსაჩოვმა. მან აღიარა, რომ მოსკოვი პიროვნულად მხარს ბიბილოვს უჭერდა. ამასთან, დაამატა, რომ კრემლი არჩევნებში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერეოდა.

სავარაუდოდ კრემლი მართლაც არ ჩაერია არჩევნებში. და არა იმიტომ, რომ ცხინვალის მოსახლეობას სცა პატივი, უბრალოდ, რუსეთის ხელისუფლება ერთი ადამიანის გაღიზიანებას მოერიდა. ეს ერთი ადამიანი ძამბოლატ თედეევი გახლავთ, რომელიც ამ დროისთვის რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში. ის ამ პოსტზე 10 წელია რაც მუშაობს და ბევრ წარმატებას მაღწია. მას რუსეთის ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობები აქვს.

ამ არჩევნების ბედი სწორედ მისმა ფაქტორმა გადაწყვიტა, ცხინვალში ის უყვართ და პატივს სცემენ. და სწორედ მისი ხათრით დაუჭირა მხარი მოსახლეობამ ჯიოევას.

როგორც დამკვირვებლები ამბობენ, არჩევნები დიდი დარღვევების გარეშე ჩატარდა. თავიდან ამას ბიბილოვის მომხრეებიც აღიარებდნენ. ბოლო მომენტში კი ფირფიტა შეცვალეს და ახლა შედეგებს ასაჩივრებენ.

არჩევნებში დამარცხება ბიბილოვმა საკუთარ თავსაც უნდა დააბრალოს. მისი გრძელი ენის ბრალიცაა კოკოითიანელებმა მისი გაყვანა ძალიან რომ არ მოინდომეს.

მეორე ტურამდე მან ვრცელი ინტერვიუ მისცა პორტალ „ოსრადიოს". სადაც კოკოითი შემოეკრიტიკა. მთელ რიგ თანმადებობის პირებს კი 27 ნოემბრამდე ურჩია სამსახურიდან წასვლა.

— მე ვურჩევ ამ ადამიანებს, რომ 27 ნოემბრამდე დაწერონ განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც კი პრეზიდენტი გავხდები მათ მოვხსნი, — განაცხადა გამარჯვებაში დარწმუნებულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

მის შავ სიაში მოხვდა გიორგი კაბისოვი, რომელსაც ინფორმაციისა და ბეჭდვის მინისტრის პოსტი უკავია. ბიბილოვი არც გენერალური პროკურორის თეიმურაზ ხუგაევის დანდობას აპირებდა. ეს კაცი კოკოითის ძმის ქვისლია. შავ სიაში ადგილობრივი უზენაესი სასამართლოს თავკაციც მოხვდა, რომელიც ახლა მის სარჩელს განიხილავს.

არჩევნები რამდენიმე საათის დაწყებული იყო, როცა ჯიოევას შტაბმა თავიანთი კანდიდატის გამარჯვებაზე გაავრცელა ინფორმაცია. წინასწარი გამოკითხვებით ყველა უბანზე ჯიოევა ლიდერობდა.

საღამოს შტაბმა უკვე საგანგაშო ინფორმაციის გავრცელება დაიწყო. ჯიოევას შტაბი იუწყებოდა, რომ კოკოითიმ ძალოვანების მობილიზება დაიწყო. ამ ინფორმაციას ცხინვალში მყოფი ჟურნალისტებიც ავრცელებდნენ.

ხელისუფლება კი ჯიოევას შტაბს აბრალებდა სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას. საკმაოდ შავ დღეში იყო ცესკოს თავმჯდომარე ბელა პლიევა. ოსური პორტალების ცნობით, ის კოკოითის რამდენიმე საათის განმავლობაში ტყვედაც კი ჰყავდა აყვანილი.

ბოლოს ცესკომ შედეგები მაინც გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც გამარჯვებულად ჯიოევა გამოაცხადეს.

ბიბილოვმა შედეგები გაასაჩივრა. ამის გამო ადგილობრივმა უზენაესმა სასამართლომ ცესკოს წინაწარი შედეგების გამოქვეყნება ოფიციალურად აუკრძალა.

ჯიოევას შტაბი კი უკვე გამარჯვებას ზეიმობს. რუსულმა მედიამ ის ოს ბალაფშად გამოაცხადა. ალბათ ყველას ახსოვს, რომ ბარაფშმა არჩევნებში კრემლის ფავორიტი ხაჯიმბა დაამარცხა.

## ლევან ვეფხვაძე სოციალური გრანტების ზედა ზღვარის აწევას ითხოვს



ლევან ვეფხვაძე

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ლევან ვეფხვაძე პარლამენტში მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვის დაწყებას ითხოვს.

როგორც მან გუშინ ბიუროს სხდომაზე განაცხადა, ლაპარაკია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებაზე, რომელიც სოციალური გრანტების ზედა ზღვარის აწევას ითვალისწინებს. მისი თქმით, კანონპროექტი პარლამენტს დაახლოებით ერთი წლის წინათ წარედგინა, მაგრამ ის დღემდე არ განხილულა.

დეპუტატის ინფორმაციით, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გრანტებისათვის ჯამურად 11 მილიონი ლარია გამოყოფილი, საიდანაც 1 მილიონი სოციალურად დაუცველებისათვის გაიცემა. მოქმედი კანონმდებლობით, უმაღლეს სასწავლებლებში სოციალური გრანტი საერთო გრანტების ოდენობის 10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ 1 მილიონი ლარი სოციალურად დაუცველებისათვის საკმარისი არ არის და ის 700-800 სტუდენტს ჰყოფნის მაშინ, როცა სოციალური გრანტის მიღებაზე განათლების სამინისტროში განაცხადი ყოველი წლის სექტემბერ-ოქტომბერში 2000-მდე აპლიკანტს შეაქვს.

— ჩვენი მიზანია, გრანტი მეტმა სტუდენტმა მიიღოს. მიმაჩნია, რომ სოციალურად დაუცველებისათვის გრანტის გამოყოფის ლიმიტი არ უნდა არსებობდეს. ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიხედვით, თითოეული განცხადების შეფასების შემდეგ გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს. თუმცა არ მგონია, რომ ეს თანხა ჯამურად საერთო გრანტის 20 პროცენტს აღემატებოდეს, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ურჩია, რომ კომიტეტების გვერდის ავლით საკითხების წარდგენას მოერიდოს, რადგან მათ გასვლის ნაკლები შანსი აქვს.

— ამიტომ გთხოვთ, კომიტეტებთან მოახერხოთ პოზიციის შეჯერება და კანონპროექტი ისე წარმოადგინოთ, — განუცხადა ბაქრაძემ ვეფხვაძეს.

მედიანიუსი

## საპარლამენტო კომიტეტი მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი პატიმრობაში მყოფი, ოპოზიციის ახალგაზრდა აქტივისტის მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებას აპირებს.



მელორ ვაჩნაძე

აღნიშნული საკითხი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პოლიტიკური პარტია „ევროპელი დემოკრატების" ლიდერმა პაატა დავითაიამ დასვა.

მისი თქმით, მედიით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალგაზრდას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. დეპუტატმა ამ საკითხში სწორედ ადამიანის უფლებატა დაცვის კომიტეტის ჩარევა მოითხოვა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ნებისმიერი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის თემას რეაგირება უნდა მოჰყვეს.

როგორც ადამინის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ განაცხადა, მელორ ვაჩნაძე ჯანმრთელობას მართლაც უჩივის, მაგრამ მდგომარეობა საგანგაშო არ არის.

მისი თქმით, შესაბამისი კომისია დეტალებში უახლოეს ხანებში გაერკვევა.

მედიანიუსი

## „გაზის სახლში შეყვანისათვის სემეკის მიერ დაწესებულ გადასახადზე ბევრად მეტს სთხოვენ"

მოძრაობა ,,სამართლიანი საქართველოსთვის" რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის გათბობის პრობლემების მოგვარებას ითხოვს.

ამასთან დაკავშირებით გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის გამგეობის წევრმა ხვიჩა ასანიძემგანაცხადა, რომ პარტიის ლიდერი სერგო ჯავახიძე რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს და მათ პრობლემებს ეცნობა. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მთავარ პრობლემას გათბობის საშუალებების უქონლობა და ამ მხრივ მათ მიმართ ხელისუფლების უყურადღებობა წარმოადგენს.

ასანიძის თქმით, ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ამ დრომდე ბუნებრივი აირის გარეშე არიან დარჩენილი სოფელ ანაგას, ახაშენისა და ბორჯომის რაიონის სოფლების მოსახლეობა. ასევე ნაწილობრივ გაზიფიცირებულია გორი და კასპი. რამდენიმე სოფელში გაზის ცენტრალური მილი მოსახლეობიდან რამდენიმე მეტრის მოშორებითაა, თუმცა მათ გაზის სახლში შეყვანისათვის სემეკის მიერ დაწესებულ გადასახადზე ბევრად მეტს სთხოვენ.

,,მარტო გაზის პრობლემაზე არ არის საუბარი. ეს ხალხი უნდა გათბეს. ჩაის ვერ ადუღებენ და 10-ჯერ მეტი უჯდებათ თხევადი გაზის მოხმარება. შეშის მოჭრაზე კი ჯარიმაა. მოვითხოვთ, უახლოეს დღეებში ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას დაურიგდეს ის ქვითრები, სადაც აღნიშნულია, თუ რამდენი კუბური მეტრი შეშის მოჭრაა შესაძლებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაეხმარონ ხალხს შეშის სახლამდე მიტანაში", — განაცხადა ასანიძემ და დასძინა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მოსახლეობისათვის სემეკის მიერ დადგენილ ფასში, 220 ლარში, უნდა მოხდეს ბუნებრივი აირის მიწოდება.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# უგულავა პრესის წინააღმდეგ

ნათია ხურცილავა

**კოალიცია „არჩევანის თავისუფლებისთვის“ თბილისის მერს, გიგი უგულავას პრესის ჯიხურების საკითხით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრას ურჩევს.**




როგორც კოალიციის წარმომადგენლებმა ია მამალაძემ, მაგდა პოპიაშვილმა და ზვიად ქორიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, დედაქალაქის მერმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა განმარტებები უნდა გააკეთონ, თუ რატომ გახდა პრესის ჯიხურების აღება აუცილებელი.

— მედიის ძალიან დიდი ნაწილი პრესის ჯიხურებთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობას აფასებს, როგორ მედიაზე ზეწოლად. კოალიციის პოზიცია არის არამხოლოდ კრიტიკა, არამედ შეთავაზებაც: ქალაქის ხელისუფლება ვალდებულია აუცილებელია, ქალაქის მთავრობამ აუხსნას საზოგადოებას, რატომ მოხდა, რომ აუქციონი გამოაცხადეს მაინცადამაინც იმ ადგილებზე, სადაც პრესის ჯიხურებია განთავსებული. მერმა და მერიის წარმომადგენლებმა მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში უნდა დაგვარწმუნონ, — აღნიშნა ია მამალაძემ.

ამასთან, კოალიციის მოთხოვნაა, საკითხის გარკვევამდე ყოველგვარი აუქციონი შეჩერდეს და განახლდეს მხოლოდ მაშინ, როცა პრესის გავრცელების მყარი გარანტიები შეიქმნება.



— პრესის ჯიხურების აღების გადაწყვეტილების მიღებისას, მერიას არ უნდა ამოძრავებდეს მხოლოდ მერკანტილური მიზანი, რომ მიიღოს მეტი ფული. აქ სხვა მიზანიც დევს და ეს პირდაპირ ანგრევს მედიაგარემოს. თუ მოქალაქეები პრესას ვერ მიიღებენ, ისინი ინფორმაციის გარეშე დარჩებიან და, ბუნებრივია, ღირსეული არჩევანის გაკეთება გაუჭირდებათ, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

კოალიცია, „არჩევნის თავისუფლებისთვის“ საქართველოს პარლამენტსაც მიმართავს და მოუწოდებს, დროულად დაიწყოს მედიაექსპერტების მიერ მომზადებული და საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებული კანონპროექტის განხილვა, რომლებიც ამ და სხვა ბევრი საკითხის მოგვარების მექანიზმებს სთავაზობს ხელისუფლებას.

კოალიციის მიმართვის ობიექტები სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესსექტორიც არიან.

„არჩევანის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლები მოქალაქეებს ახალი სავაჭრო ჯიხურების ბოიკოტირებისკენ, ბიზნესმენებს კი აუქციონში მონაწილეობაზე უარისკენ მოუწოდებენ.

— მერიის ე.წ. 1000 ჯიხურის აუქციონებში მონაწილეობის მსურველ პირებს მოვუწოდებთ: გამოიჩინონ მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი პოზიცია და არ მიიღონ აუქციონებში მონაწილეობა იმ ადგილებზე, სადაც ამჟამად ან მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე იდგა პრესის გავრცელების ჯიხურები. ასეთი თბილისში სულ 150 ადგილია. გარდა ამისა, მივმართავთ მოქალაქეებსაც, ბოიკოტი გამოუცხადონ ახალ სავაჭრო ჯიხურებს, რომლებშიც შაურმა, კარტოფილი და სხვა პროდუქტები შეიძლება გაიყიდონ, არ შეიძინონ ისინი, — განაცხადა კოალიციის წარმომადგენელმა მაგდა პოპიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ კოალიცია „არჩევანის თავისუფლებისთვის“ პრესის ჯიხურების აღების საპროტესტოდ მერიასთან ხვალისთვის დაგეგმილ აქციასაც შეუერთდება.

# ბაღათურიამ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე საყოველთაო საჯარო განხილვის კომისია დატოვა




„ქართული დასის“ ლიდერმა, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურიამ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე საყოველთაო საჯარო განხილვის კომისია დატოვა.

ამის შესახებ ბაღათურიამ გუშინ, კომისიის თავმჯდომარის, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელ პავლე კუბლაშვილისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრისას განაცხადა და დარბაზიდან გავიდა.

ბაღათურიამ თავდაპირველად ის ფაქტი გააპროტესტა, რომ შეხვედრას კომისიის 30-კაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ თავად და კუბლაშვილი ესწრებოდნენ. ეს ფაქტი ბაღათურიამ კომისიის წევრების უპასუხისმგებლობად შეაფასა. ამის შემდეგ კი საკონსტიტუციო ცვლილება გააკრიტიკა.

მისი თქმით, 8 წელი გავიდა 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ და თუ ამ მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა, ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებით არის დაკომპლექტებული, გამოდის, რომ პარლამენტიც უკანონოა და მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებაც. „ჩემი მუშაობის გაგრძელება ამ კომისიაში უადგილოა“, — განაცხადა ბაღათურიამ და დასძინა, რომ ის კომისიას ემიჯნება და ტოვებს მას.

ჯონდი ბაღათურიას მიერ დარბაზის დატოვების შემდეგ, შეხვედრას უმრავლესობის წევრებიც შეუერთდნენ, მაგრამ შეხვედრა მათაც რამდენიმე წუთში დატოვეს.

დღევანდელი შეხვედრა საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე შედგა, რომლითაც დეპუტატების რაოდენობა 150-დან 190-მდე უნდა გაიზარდოს. აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებაზე საყოველთაო-საჯარო განხილვის კომისია უკვე შეიქმნა.

**ინტერპრესნიუსი**

# დეპუტატთა რიცხვის გაზრდის სამართლიანობაზე კვლავ ვერ თანხმდებიან

არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები დეპუტატთა რიცხვის 150-დან 190-მდე გაზრდის სამართლიანობაზე კვლავ ვერ თანხმდებიან. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტში გამართულ საჯარო დისკუსიაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს პოზიცია, რომ ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება და მათთან შეთანხმებული ოპოზიციური პარტიები 2003 წელს რეფერენდუმისას გამოხატული ხალხის ნების წინააღმდეგ მიდიან.



არასამთავრობო ორგანიზაციებმა იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილს ისიც შეახსენეს, რომ თავის დროზე განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებისას — დეპუტატთა რაოდენობის შემცირებისას პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული იყო, რომ ინიციატივა რეფერენდუმის საფუძველზე ხორციელდება და ამას ამტკიცებდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილიც მისი სიტყვით გამოსვლისას.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრ თათული თოდუას განცხადებით, ის, რომ 2003 წლის რეფერენდუმის შედეგების კანონით დადგენილ ვადებში დამტკიცება და ძალაში შესვლა ვერ მოხდა, არ შეიძლება ხალხის მხრიდან გამოხატული ნების იგნორირების საფუძველი გახდეს. მისივე თქმით, მაშინდელი გადაწყვეტილების შეცვლა, ისევ ამომრჩევლის ნების საფუძველზე უნდა მოხდეს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის პოზიციით კი, 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმი კონსტიტუციის ფარგლებს სცილდებოდა, რადგან ის არ ჩატარებულა მთელ ტერიტორიაზე და, ასევე, არ შეიძლება რეფერნდუმის ჩატარება კანონის მისაღებად. „ის, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს“, — განაცხადა კუბლაშვილმა.

პარლამენტში რამდენიმე კვირაა, რაც ინიცირებულია საკონსტიტუციო ცვლილება დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის შესახებ, რომელშიც პროპორციული სისტემით 107, ხოლო 83 მაჟოროტარული პრონციპით აირჩევა. აღნიშნული იდეის ავტორად და მომთხოვნად ოპოზიცია სახელდება. თუმცა, არ არის გამორიცხული საკონსტიტუციო ცვლილებებზე შექმნილი საყოველთაო-საჯარო კომისიის მიერ მუშაობისას შეთანხმება კვლავ 150 დეპუტატზე შედგეს, სადაც 67 პროპორციული და 83 მაჟორიტარი იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# მერია: ახალ სავაჭრო ჯიხურებში პრესის გაყიდვაც იქნება შესაძლებელი

თბილისის მერიის პრესსპიკერის ბაჩო დოლიძის განცხადებით, ახალ სავაჭრო ჯიხურებში, სურვილისამებრ, პრესის გაყიდვაც იქნება შესაძლებელი.



მისი თქმით, ყველა კომპანიას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სავაჭრო ჯიხურების განთავსების უფლების მოპოვების აუქციონში. აუქციონის მოგების შემთხვევაში კი, მას უფლება ეძლევა, გაყიდოს ის საქონელი, რომელიც მოესურვება, მათ შორის ჟურნალ-გაზეთები.

— ყველა კომპანია იქნება თანაბარ პირობებში, რადგან დაუშვებელია რომელიმეს მიეცეს პრივილეგირებული მდგომარეობა. ამით ჩვენ დავარღვევთ თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებს, — აღნიშნა დოლიძემ.

აღნიშნული განცხადება მერიის პრესსპიკერმა მას შემდეგ გაკეთა, რაც კოალიაცია ,,არჩევანის თავისუფლებისათვის“ პრესის ჯიხურების აღება გააპროტესტა.

როგორც დოლიძემ განმარტა, ჯიხურის განთავსების უფლების მოპოვება ძვირი სულაც არ ღირს და რიგ შემთხვევაში, კომპანიებს ნებართვის მიღება წელიწადში საშუალოდ 1000 ლარი დაუჯდებათ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიამ პროექტ „1000 ჯიხურის“ ფარგლებში აუქციონი გამოაცხადა. აუქციონი უმეტეს შემთხვევაში იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე იდგა პრესის გავრცელების ჯიხურები. მათი აღების პროცესი უკვე დაწყებულია.

შეგახსენებთ, რომ კოალიაცია ,,არჩევანის თავისუფლებისათვის“ წევრებმა ია მამალაძემ, მაგდა პოპიაშვილმა და ზვიად ქორიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ დედაქალაქის მერმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა განმარტებები უნდა გააკეთონ, თუ რატომ გახდა აუცილებელი პრესის ჯიხურების აღება.

კოალიციის მოთხოვნაა, საკითხის გარკვევამდე ყოველგვარი აუქციონი შეჩერდეს და განახლდეს მხოლოდ მაშინ, როცა პრესის გავრცელების მყარი გარანტიები შეიქმნება.

გარდა ამისა, კოალიცია საქართველოს პარლამენტსაც მოუწოდებს, დროულად დაიწყოს მედიაექსპერტების მიერ მომზადებული და საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებული კანონპროექტის განხილვა, რომლებიც ელისუფლებას ამ და სხვა ბევრი საკითხის მოგვარების მექანიზმებს სთავაზობს.

**მედიანიუსი**

# საქართველოს პრესის ასოციაცია საზოგადოებას, ხელისუფლებას და დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს

საქართველოს პრესის ასოციაცია საზოგადოების, ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და ყველა დაინტერესებული პირის მისამართით მიმართვას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„ჩვენ, ქართული მედიის წარმომადგენლები მივიჩნევთ, რომ თბილისის მერიის პროექტს, სათაურით „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა“, სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნასთან. ის მიმართულია ბეჭდური მედიის გავრცელების არსებული სისტემის ნგრევისკენ და რეალურ საფრთხეს უქმნის თავისუფალ სიტყვას. გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ხელისუფლება არაერთხელ შეეცადა თავისუფალი პრესის კონტროლქვეშ მოქცევას. აუქციონების გამართვის საბაბით, ამ დღეებში იძულებით შეაწყვეტინეს საქმიანობა არსებული საგაზეთო ჯიხურების ნაწილს. თბილისის მერიის ბოლო ნაბიჯები უკვე დაეტყო ქართული ბეჭდური მედიის ტირაჟებს. ყოველივე ეს სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნის ჟურნალ-გაზეთებს და აფერხებს თავისუფალი სიტყვის მიღწევას საზოგადოებამდე. ჩვენ ამ ნაბიჯებს განვიხილავთ ქვეყნის განვითარების, საზოგადოების ინტერესების, მედიისა და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ გადაწყვეტილებებად. ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, მოვუწოდებთ და მოვითხოვთ თბილისის მერიისგან ბეჭდვითი მედიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების შეჩერებას. მოვითხოვთ, რომ ეს ე.წ. „ჯანსაღი კონკურენციის“ საფარქვეშ მოქმედი აუქციონი არ შეეხოს იმ ჯიხურებს, სადაც უკვე წლების განმავლობაში ტრადიციულად იყიდება პრესა და, შესაბამისად, თბილისში დარჩეს თავისუფლების კუნძულები, სადაც მოოალაოეს შეეძლება ინფორმაციის მიღება და საკუთარი აზრის გამოტანა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე“, - ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერს საქართველოს პრესის ასოციაცია, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „არსენალი“, „ახალი ვერსია“, „ახალი თაობა“, „А и Ф“, „ბომონდი“, „გზა“, Georgian Journal, „გუმბათი“, „და ქალი“, „ერუდიტი“, „თბილისელები“, „ისტორიანი“, „კარუსელი“, „კვირის პალიტრა“, „ლელო“, „ლიტერატურული პალიტრა“, „მესინჯერი“, „მკურნალი“, „მსოფლიო სპორტი“, „ოლიმპი“, „რეზონანსი“, „რეიტინგი“, „სარკე“, „საერთო გაზეთი“, „სიტყვა და საქმე“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ყველა სიახლე“, „ტვ. ინფოზავრი“, „ქართული სიტყვა“, „ქრონიკა“, „ლიბერალი“, „მედია.ჯი“.

# რამაზ საყვარელიძე: „პოლიტიკურ ბრძოლაში დემაგოგიის კარგად გამოყენებას საკმაოდ მაღალი პოლიტიკური უნარები უნდა“

**თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური კულტურისა და ახალ პოლიტიკურ რეალობაში ხელისუფლების სატელევიზიო პოლიტიკის თავისებურებებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს, რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**




***– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით გოკა გაბაშვილსა და ირაკლი ალასანიას, პავლე კუბლაშვილსა და დავით უსუფაშვილს შორის პრაქტიკულად არშემდგარ სატელევიზიო დებატებს? ის, რაც ვიხილეთ პოლიტიკური კულტურის უქონლობას უფრო ნიშნავს, თუ იმას, რომ ხელისუფლება სატელევიზიო სივრცეში პოლიტიკურ თემაზე სააზროვნო სივრცის ჩახშობის სურვილს ავლენს?***

– ორივე გადაცემაზე მსჯელობა მიჭირს. ერთი ნანახი მაქვს, მეორეზე შთაბეჭდილებები გამიზიარეს. გითხრათ სიმართლე, იმდენად გამიკვირდა „კავკასიის“ ეთერში კუბლაშვილის გამოჩენა, რომ ამან მთლიანად მიმაჯაჭვა „კავკასიის“ ეთერს. საერთოდ, კითხვა მართლზომიერია იმდენად, რამდენადაც გამიკვირდა არა მარტო კუბლაშვილის „კავკასიის“ ეთერში მისვლა, არამედ ის, რომ კუბლაშვილი-უსუფაშვილის ეთერში დიალოგის რეჟიმი ამოგდებული იყო. კუბლაშვილი იმეორებდა მის მიერ ერთხელ ნათქვამ ფორმულას. ნებისმიერ პარტიას ტელევიზიის გამოყენება იმისთვის უნდა, რომ მოსახლეობას დამაჯერებლად გადასცეს თავისი პოზიცია და მასზე ზემოქმედება მოახდინოს. ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რა აზრი ჰქონდა ხმაურით სივრცის შევსებას. ვერ მივხდი, ასეთი ტიპის დიალოგში ორივე მხარის ტელეეთერში მონაწილეობის მოტივს.

***– ტელეეთერებში ხელისუფლების წარმომადგენლები დაბნეულები ჩანან. ხშირია, როცა ისინი თავის სასარგებლო არგუმენტებსაც კი თავს ვერ უყრიან. აქამდე ითვლებოდა, რომ ხელისუფლება პიარში „ჩემპიონი“ იყო. თქვენი აზრით, ახლა რა ხდება?***

– მე პიარში ხელისუფლების „ჩემპიონობაშიც“ შევიტანდი ეჭვს. ერთია, როცა აქცენტს აკეთებ პიარზე, მაგრამ მეორეა, როცა შენი პიარი შედეგს აღწევს. როცა საქართველოს პოლიტიკურად აქტიური ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება პიარით ცდილობს საქმის გაკეთებას, ეს უკვე ნიშნავს, რომ პიარმა წააგო. იქ, სადაც პიარი პიარად იკითხება და არა რეალობად, პიარს უკვე წაგებული აქვს. თუ კაცზე იციან, რომ მატყუარაა, ეს ნიშნვას, რომ ცუდი მატყუარაა. ხელისუფლების პიარი ძალიან ხშირად „იშიფრება.“

რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ახერხებენ თავისთვის სასარგებლო არგუმენტების მოხმობას. ჩემი აზრით, ასე იმიტომაც ხდება, რომ მათ არასრულფასოვანი წარმოდგენა აქვთ პიარზე და ძალიან ხშირად წამგებიან სვლებს აკეთებენ. პიარი შესაძლოა, მომგებიანი იყოს, მაგრამ შეიძლება წამგებიანიც. მიუხედავად იმისა, რომ პიარზე მუშაობდა კომუნისტური პროპაგანდის უზარმაზარი მანქანა, მოსახლეობას მაინც არაფრის არ სჯეროდა. მთელი მოსახლეობა გადასული იყო სტრიქონებს შორის აზრის წაკითხვაზე. ნამდვილად არ მინდა, რომ ასეთი ცუდი პიარის მაგალითს იძლეოდეს, როგორც ჩვენი ხელისუფლება, ისე – ოპოზიცია. როდესაც ესა თუ ის მხარე ცუდი პიარით მუშაობს, იქ საქმე გვაქვს დაბალ პოლიტიკურ კულტურასთან.

***– ხშირია, როცა ოპოზიციის არგუმენტებს ხელისუფლება ცინიზმით პასუხობს და უპასუხოდ რჩება, ვთქვათ, ასეთი კითხვაც კი – 2012 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ხარჯებში თითქმის 1/7, ანუ 900 მილიონი ლარი რატომ არაა გაწერილ-გაშიფრული? რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ოპონენტების კითხვებზე პასუხგაუცემლობა და ოპოზიციის მიმართ აგდებული დამოკიდებულება?***

– პიარმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრება დემოკრატიის შემოსვლასთან ერთად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ ეპოქაშიც პიარული ელემენტები ძალიან ბევრი იყო, ტერმინი პიარი დიდი ხანის გაჩენილი არ არის. საქმე იმაშია, რომ დემოკრატიის არსებობისა და არჩევნების პირობებში ხელისუფლება უფრო მეტად გახდა დამოკიდებული ხალხზე, იძულებულია, იზრუნოს იმ იმიჯზე, რომელიც ხალხს მის შესახებ აქვს. ასეთია პიარის ლოგიკა.

შესაბამისად, რაც უფრო მეტად არის დამოკიდებული ხელისუფლება ხალხზე, რაც უფრო აქტიურია ხალხი, პიარი ცდილობს, მით უფრო მაღალი დონისა იყოს და მაქსიმალურად გაითვალისწინოს ხალხის თვალსაზრისი. როდესაც პიარის შედეგიანობა ხალხზე დამოკიდებული აღარ არის, ის ელემენტარულად თავხედურია. ჩვენთან პიარი ხალხზე იმის გამო არ არის დამოკიდებული, რომ ხალხია თავად პასიური. ხალხმა რამდენი ცუდი რამეც უნდა გაიგოს, მოვლენებზე რეაქცია არა აქვს. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლება აუცილებლად არ მიიჩნევს პასუხი გასცეს კითხვას ბიუჯეტში გაუშიფრავად გაწერილ თითქმის 1 მილიარდიან ხარჯზე. ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ საკითხში მისი პოზიცია საზოგადოების მხრიდან ურეაქციოდ დარჩება. ხალხის პასიურობის გამო ხელისუფლება თავს თავხედურად ქცევის უფლებას აძლევს.

***– ფაქტია, რომ უალტერნატივობას მიჩვეული ხელისუფლება ძნელად ეგუება პოლიტიკურ არენაზე ანგარიშგასაწევი, ივანიშვილთან ასოცირებული პოლიტიკური ძალის გამოჩენას. თქვენი აზრით, რისი ბრალი შეიძლება იყოს ის, რომ ჩვენში ოპოზიციის წარმომადგენელი არა ოპონენტად, არამედ მტრად აღიქმება და ცხადდება კიდეც?***

– ის, რომ ტერმინი ოპოზიცია მტრად აღიქმება, არ არის მარტო ამ ხელისუფლების ბრალი. ამას ჩვენში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ასე იყო საბჭოთა პერიოდში და ჩვენი ისტორიის უკანასკნელი 20 წლის მანძილზეც. ეს არის ის, რასაც დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა განსაზღვრავს. საქართველოს ხომ ნორმალური დემოკრატიული ცხოვრებით არ უცხოვრია. საქართველოში, ჩვენს პერიოდშიც კი, ხელისუფლების პარტიას პოლიტიკაში ყოფნა ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ არ გაუგრძელებია. შესაბამისად, ოპოზიციის მიმართ ნორმალური დამოკიდებულება თავისთავად არ არის. პრაქტიკულად ყველა ხელისუფლებისთვის ხელისუფლებაში ყოფნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საკითხია. წარსული გამოცდილება ხელისუფლებას ახსენებს, რომ თუ ოპოზიციამ დაამარცხა, პოლიტიკური ასპარეზიდან ისინიც გაქრებიან. ამიტომაცაა, რომ ჩვენთან ყველა ხელისუფლებას ოპოზიციასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ ჰქონდა გამოცხადებული. ახლაც იგივე ხდება.

***– შექმნილ ვითარებაში სატელევიზიო ეთერში მეტი პლურალიზმის დაშვება პოლიტიკური პროცესის ნორმალურად განვითარებას აშკარად წაადგებოდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ხელისუფლება ქვეყნის მასშტაბით ტრანსლირების საშუალების მქონე ტელეარხებზე აზრთა სხვადასხვაობასა და მრავალფეროვნებას პრაქტიკულად არ უშვებს. თქვენი აზრით, ხელისუფლებაში ვერ ხვდებიან, რომ პლურალიზმის დაუშვებლობას უარესი პოლიტიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს? ბოლოს და ბოლოს, ორთქლის გამოშვება რომ გარკვეულწილად სასარგებლოა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს...***

– ჩვენ, როგორც მოსახლეობის ნაწილი, პოლიტიკური პროცესიდან საზოგადოების ინტერესებიდან გამოვდივართ, ხოლო პოლიტიკოსების მიზანი პოლიტიკურ დაპირისპირებაში მხოლოდ გამარჯვებაა. პოლიტიკურ ბრძოლაში დემაგოგიის კარგად გამოყენებას საკმაოდ მაღალი პოლიტიკური უნარები უნდა. პოლიტიკურ ბრძოლაში დემაგოგია აკრძალული სულაც არაა. პოლიტიკურ პროცესში პლურალიზმის ხარისხის გაზრდა და მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის ამაღლება მმართველი პარტიის ინტერესებში არ შედის.

თუმცა, ასეთ ვითარებაში ხელისუფლება შეიძლება მობეზრდეს ერთი და იმავეს მოსმენა, ყურება და ასე შემდეგ. ეს კი შეიძლება, ბუმერანგივით შემოუბრუნდეს ხელისუფლებას. ასეთ ვითარებაში, საზოგადოება შეიძლება, ნებისმიერ სიახლეებზე წავიდეს, ოღონდ არჩევანი უკვე მობეზრებულზე არ გააკეთოს.

***– ხელისუფლება რეიტინგისა და პოპულარობის შესანარჩუნებლად ტელეეთერში იმაზე ხშირად და დიდი დოზით ჩნდება, ვიდრე – ადრე. შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ტელეეთერის ზედმეტად ექსპლუატირება ხელისუფლებისთვის შესაძლოა, კონტრპროდუქტიულიც იყოს, თქვენ ამას გულისხმობთ?***

– დიახ, კი. საუბრის დასაწყისში ნახსენებ კომუნისტებს კვლავ გავიხსენებ. აწყობილი პროპაგანდისტული მანქანის არსებობის მიუხედავად, ერთი შეძახილი გახდა საკმარისი იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირში ყველა ხალხმა, რუსების გარდა, შვებით ამოისუნთქა. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტურ პარტიას საქართველოში და არარუსულ სივრცეში გულშემატკივარი არ დარჩა. ეს მიუხედავად იმისა, რომ იგი არც აუკრძალიათ. სწორედ ამიტომაა, რომ ვამბობ, ხალხს მოყირჭებული ჰქონდა კომუნისტური პროპაგანდა, ამავე პროპაგანდის მანქანაში ჩაყრილი ფული ტყუილა გადაყრილი აღმოჩნდა. თუკი პიარისას სიმართლე 90%-ზე ნაკლებია ანაც მართალი და ტყუილი 50-50%-ია, პიარი უკვე წამგებიანია. პიარმა რომ იმუშაოს, მასში ბევრი სიმართლე და ცოტა ტყუილი უნდა იყოს. როდესაც მოსახლეობა პიარის სახით შემოთავაზებულ პოზიციას ტყუილად აღიქვამს, ის პიარი წინასწარ წაგებულია.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომაა საჭირო მესამე პოლუსის შექმნა?

**თამარ ნინიძე**

საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც უჭირს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის არჩევანის გაკეთება ან სულაც არ სურს ამ ორ ალტერნატივაში აუცილებლად ერთ-ერთს დაუჭიროს მხარი, მესამე გზის შექმნის საჭიროება დაუდგება დღის წესრიგში.

რეალურად არსებობენ ადამიანები, რომლებიც არც ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერები არიან, არც ივანიშვილს ენდობიან. სწორედ ამ ელექტორატზე იქნება ნადირობა გაჩაღებული იმ პარტიების მხრიდან, რომლებიც არც ნაცმოძრაობის ფრთებქვეშ მოიაზრებიან და არც ივანიშვილის სიმპათიებს იმსახურებენ. მესამე გზის ანუ მესამე პოლუსის შექმნის საკითხზე დღეს ყველაზე აქტიურად „ქართული პარტია“ ქადაგებს, მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილი რამდენიმე კვირის წინ ტელეეთერში საუბრობდა მესამე პოლუსის შექმნის აუცილებლობასა და უალტერნატივობაზე. თანაც თუ „ქართული პარტიის“ გამოკვეთილად ანტიდასავლურ ორიენტაციას გავიხსენებთ, მესამე პოლუსის შექმნის ინიციატორებად და ნათლიმამებად შესაძლოა ოდიოზური ფიგურები, მაგალითად, ებრალიძე, ხომერიკი, გულუა და ხუბუტიას მსგავსი ადამიანები ვიხილოთ. ასეთი რამ სავსებით დასაშვებია და რეალური. საკითხავი მხოლოდ ის არის, ჩვენი საზოგადოება რამდენად პრორუსული შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მესამე პოლუსს, როგორც კრემლის ახალ პროექტს, მხარი დაუჭიროს.

მეორე მხრივ, ამ მესამე პოლუსისთვის ბრძოლაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ ჩაებან დასავლური მემარჯვენე ტიპის პოლიტიკური ძალები. აქ, უბრალოდ, საუბარი პოლუსის შექმნაზე კი არ არის, არამედ კრემლის ფავორიტებისთვის დასწრებაზე და მათთვის ამ სადავეების წართმევაზეა. ბრძოლა უთანასწორო იქნება და ამის მიზეზი ჯოჯოხეთის მანათობელი ფულია. საიდუმლოს არ წარმოადგენს არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის, რომ კრემლის ზემოხსენებულ ფავორიტებს პოლიტიკაში ადგილის მოძებნაში დიდწილად ფულიც ეხმარებათ, განსაკუთრებით ვგულისხმობთ ებრალიძეს, რომელსაც ამ მხრივ საკმაოდ კარგი სასტარტო პირობები აქვს. არასერიოზულად ვერც მინდია გულუას ფაქტორს უნდა მოვეკიდოთ, ისიც მილიონერია და გავლენით სარგებლობს კრემლში. თუმცა კი, მესამე პოლუსისთვის დასავლურ ძალებს საქართველოში ასეთი ფინანსური მხარდაჭერა არა აქვთ, მაგრამ სანაცვლოდ შესაძლებელია პატრიოტების მხარდაჭერა ჰქონდეთ ანუ ხმების ის ნაწილი (და ის არც ისე მცირეა) სწორედ დასავლური ორიენტაციის მესამე პოლუსზე გადანაწილდეს. ამ ხმებისთვის ერთიანი ბრძოლაა საჭირო და არა გათითოკაცებული ოპოზიციონერი ლიდერების თოკების გადაქაჩვა–გადმოქაჩვა.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, მესამე პოლუსის შექმნის მიზნით დასავლურ კოალიციაში „ახალი მემარჯვენეებიც“ შევლენ თუ არა. ამაზე კატეგორიული უარი მივიღეთ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ კოალიციებში „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხეირი ვერ ნახეს. პირიქით კი მოხდა და დღეს ამ გაერთიანებების გადამკიდე საკუთარი იდენტურობის ძიება მოუხდათ. მათი პოზიცია გასაგებია, თუმცა არსებობენ პოლიტიკურ სპექტრში სხვა პარტიებიც, რომლებსაც მესამე პოლუსის შექმნის პერსპექტივა გააჩნიათ. მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატები გიორგი თარგამაძის ლიდერობით, თუმცა აქაც კოალიციების პრობლემა დგას. ქდმ მიიჩნევს, რომ რაკი გასულ საპარლამენტო არჩევნებზე 9%-იანი ბარიერი გადალახა სრულიად ახალბედა პარტიამ, მომდევნო არჩევნებზეც გამაოგნებელ შედეგებს მიიღებს, დამოუკიდებლად მარტო გასული წარმატებას მიაღწევს. შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა სხვაა, ძალთა ახალი გადანაწილების ფონზე თითოეულმა პარტიამ კარგად უნდა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, რომ გარეთ არ დარჩეს.

მესამე პოლუსზე ურიგო არ იქნებოდა ეფიქრა „საქართველოს გზას,“ რომლის ლიდერი სალომე ზურაბიშვილი საზღვარგარეთ არის, მაგრამ პარლამენტში გასვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ დაბრუნდებოდა სამშობლოში, ასევე ამ ხმებზე ნადირობაში ჩაებმებიან თორთლაძის დემოკრატები, დავითაიას პოლიტიკური ძალა, ედპ, „ქართული დასი“, ეროვნული ფორუმი. ცალკე აღებულ ამ პარტიებს მარტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სწორედ ივანიშვილის ფაქტორის გამო მოუწევთ საკუთარი შანსების კარგად გადახედვა და რეალობის სწორად შეფასება. შეძლებენ კი ცალკე ისინი არჩევნებში ბარიერის გადალახვასა და პარლამენტში მოხვედრას? ამიტომ კარგი შანსი იქნებოდა, თუნდაც ამ პარტიებიდან რამდენიმე მაინც რომ გაერთიანებულიყო კოალიციაში ან ბლოკში.

მოლაპარაკებები ამ თემაზე რაც მალე დაიწყება, მით უკეთესია, ყოველი ამ ზემოხსენებული პარტიიდან ადრევე გაარკვევს სავარაუდო პარტნიორებთან შესაძლო ალიანსის პერსპექტივას. თანაც საზოგადოების იმ ჯგუფს, რომელსაც სააკაშვილიც მობეზრდა და არც ივანიშვილი ეხატება გულზე, არჩევანის საშუალება მაინც ექნება.

# ნოტარიუსების მომსახურების საფასურს მთავრობა დაადგენს

ნოტარიუსების მომსახურების საფასურს კანონის ნაცვლად, მთავრობა დაადგენს. შესაბამისი ცვლილება ნოტარიატის შესახებ კანონში შედის, რომლის განხილვას პარლამენტი მიმდინარე კვირიდან შუდგება.



ინიცირებული კანონპროექტით, ნოტარიუსის მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის, გადახდის წესის და პირობების, მომსახურების ვადების, შეტანილი საფასურის ოდენობის და მომსახურების სახეების დადგენა მთლიანად მთავრობის პრეროგატივა ხდება. გარდა ამისა, მკაცრდება ნოტარიუსის შენაცვლების პირობები, ვადები კი მცირდება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, ნოტარიუსი უფლებამოსილია, სამუშაოზე არყოფნის დროისთვის ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით, შემცვლელი პირი დანიშნოს, რომელიც ნოტარიუსს არაუმეტეს 1 წლის ვადით შეენაცვლება.

კანონპროექტის თანახმად კი, ეს ვადა კალენდარული წლის განმავლობაში 30 სამუშაო დღემდე მცირდება. ნოტარიუსს დამატებით კიდევ 30 დღით შემცვლელის დანიშვნა მის ადგილზე, სამსახურეობრივი მივლინების შემთხვევაში შეეძლება.

30 დღეზე მეტი დროით შემცვლელის დანიშნვა ნოტარიუსს ორსულობის, მშობიარობის, ახალშობილის შვილად აყვანის ან ბავშვის მოვლის გამოც შეეძლება, თუმცა, ეს ვადა 90 სამუშაო დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ხოლო მძიმე ავადმყოფობის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლებლად გამგზავრებისას და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში ნოტარიუსს შემცვლელი პირის დანიშნვა არაუმეტეს 4 თვით შეეძლება.

**მედიანიუსი**

# ტრაბზონში ქმარმა ქართველი ცოლი მოკლა და თავი ჩამოიხრჩო

თურქეთის ქალაქ ტრაბზონში 55 წლის იბრაჰიმ გიუზენლიმ 47 წლის ქართველი მეუღლე, ნანა გიუზენლი მოკლა და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო.

თურქეთის პოლიციის ინფორმაციით, ქართველ ქალს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები ჰქონდა მიყენებული.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. სამართალდამცველები მკვლელობის მოტივებზე ვერ საუბრობენ.

**მედიანიუსი**

# რატომ დაასვენეს მოკლული პატიმრის ცხედარი საპყრობილის წინ

### გიორგი ტუღუში მურთაზ ზოდელავასაგან ნაწამები პატიმრის საქმის გამოძიებას მოითხოვს

შალვა ჯოხაძე

სახალხო დამცველს ქუთაისის №2 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის, მურმან კალანდიას დამ მიმართა განცხადებით. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებულს სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები აღენიშნებოდა. 16 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს შ. კ.-ს და გ. ო.-ს შეხვდნენ და გაესაუბრნენ. ეს ის პატიმრები არიან, რომელთა ეტაპირებაც ზუგდიდის №4 დაწესებულებიდან კალანდიასთან ერთად მოხდა.

მსჯავრდებულ შ.კ.-ს განმარტებით, ზუგდიდის №4 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მურმან კალანდიასთან ერთად ის ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც ისინი ქუთაისის №2 დაწესებულებაში გადაიყვანეს. პატიმრის თქმით, ეტაპირებისას მსჯავრდებული კალანდია შეუძლოდ გრძნობდა თავს, მიკროავტობუსით მგზავრობისას სავარძლიდან ჩამოვარდა, ცხვირი დაარტყა და სისხლი წამოუვიდა. შ.კ.-ს თქმით, ქუთაისის №2 დაწესებულებაში შეყვანის შემდგომ იგი კალანდიასთან ერთად №107 საკანში მოათავსეს, ანუ ე.წ. ბოქსში (,,ბოქსი“ წარმოადგენს დაახლოებით 2-3 კვადრატული მეტრის ფართის მქონე საკანს, სადაც არ არის არც მაგიდა, არც სკამი და არც საწოლი).

შ.კ.-ს განმარტებით, კალანდია ძალიან ცუდად იყო, თუმცა დაწესებულების ექიმმა მას მხოლოდ ვალიდოლი მისცა. მსჯავრდებულის თქმით, მან კვლავ მიმართა ექიმს და უთხრა, რომ მსჯავრდებული უგონოდ იყო და დახმარება ესაჭიროებოდა, რაზეც ექიმმა შ.კ.-ს ,,რჩევა“ მისცა, გაულაწუნე და გამოფხიზლდებაო. მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ კალანდია ამის შემდეგ ცოტა ხანში გარდაიცვალა.

მსჯავრდებული გ. ო.-ც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კალანდია ძალიან ცუდად იყო, რის გამოც მიკროავტობუსით მგზავრობისას ჩამოვარდა და სახით დაეცა.

– პენიტენციურ სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებზე საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია საუბარი. ზემოთ აღწერილი ფაქტები ცხადყოფს ავადმყოფი პატიმრისადმი დანაშაულებრივ გულგრილობას ზუგდიდის №4 და ქუთაისის №2 დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის და ზოგადად, ადმინისტრაციის მხრიდან. უმძიმესი ავადმყოფი,

**საეჭვო ვითარებაში რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი მორიგი პატიმრის, მურმან კალანდიას შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროში კვლავ დუმილს ამჯობინებენ. სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა კი მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას მოსთხოვა, რომ მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაიწყოს. ომბუდსმენი ასევე მოითხოვს, რომ მთავარმა პროკურატურამ ზუგდიდის N4 და ქუთაისის N2 დაწესებულებების იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენოს, პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვისი ბრალეულობაც გამოიკვეთება.**


გიორგი ტუღუში

ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებამდე, ზუგდიდის №4 დაწესებულების პირობებში იმყოფებოდა, რომელიც ჯანმრთელი პატიმრების განთავსებისთვისაც კი არ არის ადაპტირებული. ტრანსპორტირებისას საჭიროდ არ იქნა მიჩნეული მძიმე ავადმყოფის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში. ამის მაგივრად მ.კალანდია საბადრაგო ავტობუსით იქნა გადაყვანილი №2 დაწესებულებაში, სადაც ასევე არ იქნა ადეკვატურად შეფასებული მსჯავრდებულის მდგომარეობა და იგი განათავსეს არა სამედიცინო ნაწილში, არამედ „ბოქსში“, სადაც ზოგადად არაადამიანური პირობებია, მით უმეტეს, მ.კალანდიას მდგომარეობაში მყოფი პირისთვის „ბოქსის“ პირობებში ყოფნა აბსოლუტურად დაუშვებელია. სახალხო დამცველის აზრით, სავარაუდოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია ლეტალური შედეგი, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

მომხდარი ფაქტის შესახებ „ახალ თაობას“ ინფორმაცია თავდაპირველად ადამიანის უფლებათა დამცველმა, გიორგი თევზაძემ მიაწოდა. მას რეგიონიდან აცნობეს, რომ მურმან კალანდია ცემით იყო მოკლული.

– პატიმარს ზუგდიდში სცემეს, შემდეგ თბილისში უნდოდათ მისი გადმოყვანა, გზად გეგუთში შეიარეს, თუმცა კალანდია გზაშივე გარდაიცვალა. გარდაცვლილს დაზიანებები აღენიშნება, ცხვირი აქვს გატეხილი, თითი – მომტვრეული, სხეულზე წითელი ზოლები ემჩნევა, რადგანაც ხელკეტებით გაუსწორდნენ, სიგარეტით აქვს დამწვარი ხელის მტევანი. ფაქტია, ეს ადამიანი უსასტიკესადაა ნაცემი. დედამისი აცხადებს, რომ სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, მან შვილი ციხეში მოინახულა. მურმანი არაფერს უჩიოდა. ერთადერთი, კუჭ-ნაწლავის პრობლემა ჰქონდა. დედამ ექიმს როდესაც ჰკითხა, მისგან მიიღო პასუხი, არანაირი პრობლემა არ არის, სხვა მხრივ ჯანმრთელიაო. ეს ყველაფერი კითხვებს ბადებს, რომ არა პატიმარზე განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორება, ის ხომ ცოცხალი იქნებოდა, – გვითხრა უფლებათა დამცველმა.

მურმან კალანდია 3-წლიან პატიმრობას ძარცვისთვის იხდიდა. მას საპატიმრო ვადა 2012 წლის აპრილში ეწურებოდა. პატიმარ მურმან კალანდიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შესახებ მისი ოჯახის წევრები მაშინვე ალაპარაკდნენ. კალანდიას ოჯახმა პატიმრის გარდაცვალებაში ციხის ადმინისტრაცია დაადანაშაულა. ოჯახის მტკიცებით, პატიმარი ცემისაგან მიყენებული ტრავმებით გარდაიცვალა.

გარდაცვლილს ექსპერტიზა ქუთაისში ჩაუტარდა. ოჯახს ექსპერტიზის ბიუროდან აცნობეს, რომ პასუხი ერთ თვეში იქნებოდა ცნობილი. გარდაცვლილის ოჯახი სახელმწიფო ექსპერტს არ ენდობა და საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვას ითხოვს.

გარდაცვლილის, 42 წლის მურმან კალანდიას ოჯახის წევრებმა ადგილობრივ მედიას მომხდართან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც „თავისუფალ სიტყვას“ გარდაცვლილის ოჯახმა განუცხადა, მათზე ზეწოლა ხორციელდება.

კალანდია ქუთაისში 31 ოქტომბერს გარდაიცვალა. ოჯახის ინფორმაციით, ნაცემი პატიმარი ზუგდიდის საპყრობილიდან თბილისში ციხის საავადმყოფოში გადაყავდათ.

– ბადრაგმა, გზად გეგუთის საპყრობილეში სხვა პატიმრების წასაყვანად რომ შეიარა, სწორედ მაშინ მომკვდარა ჩემი ძმა. გადმოსასვენებლად რომ მივედით, გვითხრეს, მანქანის კარი რომ გავაღეთ, ცუდად იყო, დაეცა და გარდაიცვალაო. გვატყუებენ! ჩემი ძმა მშვენივრად იყო და ცემისგან მოკვდა, – ამბობს გარდაცვლილის და მედეა კალანდია.

დედამ პატიმარი შვილი ზუგდიდის საპყრობილეში 16 ოქტომბერს მოინახულა და როგორც თავად ამბობს, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონია.

– 31 ოქტომბერსაც მივედი ციხეში, მისი ნახვა მინდოდა, კუჭ-ნაწლავის პრობლემა ჰქონდა და ციხის ექიმს შევახსენე, წამლებს ხომ აძლევთ-მეთქი?! მითხრა, შენი შვილი ძალიან კარგად არის, პრობლემა არ აქვსო. თურმე, მეორე დღეს, გამთენიისას, გარდაიცვალა, – აღნიშნავს გარდაცვლილის დედა, ჟუნა კალანდია.

დედის თქმით, მისი შვილი ნაცემი იყო და მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნებოდა.

**ჟუნა კალანდია:**

– ხელი სიგარეტით აქვს ამომწვარი, ზურგზე წითელი ხაზები აქვს, ვფიქრობ, „დუბინკითაა“ ნაცემი. მკლავი ჩალურჯებული, შუბლი და ცხვირი გატეხილი, მარჯვენა ხელის ერთი თითი კი მომტვრეული აქვს.

გარდაცვლილის დედა ზუგდიდის საპყრობილიდან გამოსულ რამდენიმე პატიმარს გაესაუბრა და მათგან დამატებითი ინფორმაცია მიიღო.

– პატიმრები ვნახე, ვკითხე, როგორ გექცევიან-მეთქი. მითხრეს, შუაღამისას შემოვლენ და გვეუბნებიან „კაიფში“ ვართ და უნდა გცემოთო, ალბათ, სწორედ ასეთ დროს შემოაკვდათ ჩემი შვილი, თორემ სასიკვდილო რა სჭირდა?! – აცხადებს ჟუნა კალანდია.

გარდაცვლილის ჩამოსასვენებლად ქუთაისში რომ ჩავიდნენ, გამომძიებელმა ოჯახს გარდაცვალებისა და ტრავმების მიზეზად მანქანიდან გადმოვარდნა დაუსახელა.

– ადგილობრივმა გამომძიებელმა გვითხრა, დაჟეჟილობები მანქანიდან გადმოსვლისას რომ დაეცა, სწორედ იმ დროს მიიღოო, არადა, როგორ უნდა მიელო ტრავმები ერთდროულად ზურგზე, ცხვირზე, მკლავზე, შუბლზე?! ან საინტერესოა, ხელზე ნამწვები როდის მიიღო?! ჩემი ძმა ნაწამებია, მერე ცუდად გახდა, ეტყობა, თბილისში ციხის საავადმყოფოში გადაყავდათ და იმ დროს შემოაკვდათ, – აღნიშნა მედეა კალანდიამ.

მურმან კალანდიას უმცროსი ძმა სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდის, სწორედ ის დაუკავშირდა ოჯახს ძმის გარდაცვალებიდან მეორე დღეს და უთხრა, რომ მისი ძმა ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, არავის მოუკლავს, რასაც ოჯახი ზეწოლად მიიჩნევს.

– ტელეფონით დაგველაპარაკა და გვითხრა, ეს ამბავი არ გაახმაუროთ და ჟურნალისტებთან ურთიერთობას მოერიდეთო, ეს ბუნებრივი სიკვდილი იყოო. ძალიან მეშინია, მეორე შვილიც არ მომიკლან, – ამბობს გარდაცვლილი პატიმრის დედა.

მურმან კალანდიას ოჯახმა საქმის სწორად გამოძიება და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა. ოჯახის წევრებმა მურმან კალანდიას ცხედარი იმ დაწესებულების წინ მიიტანეს, სადაც გარდაცვლილი სასჯელს იხდიდა. კალანდიას ნათესავებმა პროტესტის ამ ფორმით პატიმრის გარდაცვალების რეალური მიზეზის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მიღება უშედეგოდ სცადეს. მოკლულის ოჯახმა დაწესებულების ხელმძღვანელის, ამირან ჯანაშიასა და ციხის ექიმის დასჯაც მოითხოვა.

**მედეა კალანდია:**

– ჩემი ძმა არაადამიანურად არის ნაწამები და ციხის ადმინისტრაციას განმარტებების გაკეთებაც არ უნდა. ძმის სამოსსაც ვერსად მივაკვლიეთ. ქუთაისის ექსპერტიზის ბიუროდან სრულიად შიშველი ადამიანი გამომაყოლეს. იქ ერთმა გამომძიებელმა მითხრა, რომ ტანსაცმელზე სისხლის კვალი იყო და ექსპერტიზას გადავეციო. უცხო ადამიანებისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ჩემი ძმა ორი დღის განმავლობაში კარცერში ჰყავდათ. სხვა ინფორმაცია არ გვაქვს.

# გელა მთივლიშვილი: „ყოველ წუთს ველოდები საჩიშვილის მხრიდან ძალადობას“

### პროკურატურა ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს არა და არ იძიებს

შალვა ჯოხაძე


გელა მთივლიშვილი

**გუშინ სახალხო დამცველს ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლისა და უკანონო ქმედებების გამო ორი განცხადების გავრცელება მოუხდა. ორივე შემთხვევაში, ძალადობაში სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს ადანაშაულებენ. სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მიმართავს, გაზეთ „ბათუმელების“ წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეისწავლოს.**

– გაზეთ ,,ბათუმელების“ ინფორმაციით, 20 ნოემბერს გაზეთის დირექტორმა, ქალბატონმა მზია ამაღლობელმა დაადგინა პიროვნება, რომელიც მათი გაზეთის საგამოძიებო ჯგუფის კოორდინატორს თედო ჯორბენაძეს აშანტაჟებდა. მათ გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, რომელმაც ადგილზე არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ შეადგინა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ ,,ბათუმელების“ წარმომადგენლებმა განცხადებებით მიმართეს საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

მოგეხსენებათ, 2009 წლის 25 ნოემბერს, გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების კოორდინატორი თედო ჯორბენაძე უცნობმა პირებმა ბათუმის შს განყოფილების შენობაში დაიბარეს. მას თან თანამშრომლები ახლდნენ. აღნიშნულ პირთა განმარტებით, უცნობმა პირებმა თედო ჯორბენაძეს ანახეს შავ-თეთრი ფოტოები, რომლებზეც თითქოს გამოსახული იყო თავად ჟურნალისტი. მოსთხოვეს მეორე დღეს მათთან შეხვედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ, სურათებისა და ვიდეოების გასაჯაროებით, – აცხადებს ომბუდსმენი გიორგი ტუღუში.

2009 წლის 11 დეკემბერს, საქმეზე არსებული მასალის შესწავლის შემდგომ, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა მთავარ პროკურორს და მოითხოვა საქმის შესწავლა. ამ საქმეზე ეფექტური გამოძიების რეკომენდაცია გაიცა ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

– ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური კორესპონდენციების თანახმად, 2010 წლის 18 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამოძიებო ნაწილში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

სამწუხაროდ, დღემდე თედო ჯორბენაძის მიმართ განხორციელებული ქმედების ფაქტზე გამოძიება არ არის დასრულებული, – დასძენს ტუღუში.

გიორგი ტუღუშმა ასევე მიმართა მურთაზ ზოდელავას უწყებას, დროული და ეფექტური ღონისძიებები გაატაროს ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტთან დაკავშირებით.

– ,,ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის ინფორმაციით, 2011 წლის 6 ნოემბერს მან პირად ელექტრონულ ფოსტაზე კახეთის საოლქო პროკურატურის ყოფილი პროკურორისგან მუქარის წერილი მიიღო. ჟურნალისტი აღნიშნულ ფაქტს მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს. ამავე წლის 11 ნოემბერს გელა მთივლიშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

24 ნოემბერს სახალხო დამცველი დაინტერესდა აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გატარებული ღონისძიებებით და გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საქართველოს პროკურატურამ გაატაროს სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები აღნიშნულ ფაქტზე ობიექტური გამოძიების წარმართვის მიზნით, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

ალსანიშნავია, რომ გელა მთივლიშვილმა მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას საკმაოდ ვრცელი საჩივრით მიმართა, რომელშიც კახეთის საოლქო პროკურატურის ყოფილ პროკურორ ლევან საჩიშვილს უჩივის და მისი მხრიდან მუქარის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

– მოგახსენებთ, რომ ვარ ჟურნალისტი, კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორი. 2011 წლის 6 ნოემბერს პირად ელექტრონულ ფოსტაზე მივიღე წერილი. წერილი 6 ნოემბერს, 3:12 საათზეა გამოგზავნილი ლევან საჩიშვილის პირადი მეილიდან. წერილში ლევან საჩიშვილი მაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მაგინებს ჩემი და ჩემი ოჯახის მისამართით და ასევე, რაც ყველაზე მთავარია, წერილის ბოლოს წერს, რომ სადაც შემხვდება, იქ დამამიწებს, ანუ ლევან საჩიშვილი დამემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

ლევან საჩიშვილის საქმიანობიდან და პიროვნებიდან გამომდინარე, მე გამიჩდა საფუძვლიანი შიში, რომ ეს პიროვნება რეალურად განახორციელებს მუქარას. ლევან საჩიშვილთან დაკავშირებით, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა 4 ნოემბერს გაავრცელა ინფორმაცია. ჩვენ ვწერდით, რომ კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი ლევან საჩიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. კახეთის საინფორმაციო

გაგრძელება მე-6 გვერდზე

შედით საიტზე atb.ge



# რუსეთის ზრახვებს მომავალი არ უწერიათ


ნინო კალანდაძე

ნათია ხურცილავა

**საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის ბორის გრიზლოვის განცხადებას რუსული პოლიტელიტის სულისკვეთების გაგრძელებას უწოდებს. როგორც ტრადიციულ ბრიფინგზე ნინო კალანდაძემ განაცხადა, ეს სულისკვეთება რუსეთის ხელისუფლების მიერ რეგიონში ძალაუფლების აღდგენას გულისხმობს.**

– ეს გულისხმობს ასევე ე.წ. ერთიანი ბლოკის შექმნას, რომელმაც უნდა მოიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები. ერთის მხრივ, სამწუხაროა, რომ რუსეთს ასეთი ზრახვები გააჩნია და რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ იმით სულდგმულობს, რომ უნდა აღდგეს საბჭოთა კავშირი, თუმცა მეორეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ მომავალი ამ იდეას არ უწერია. ყველამ იცის, რომ ეს სახელმწიფოები არიან დამოუკიდებლები, აღიარებულები, ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები და ეს ილუზორული წარმოდგენაა რუსეთის ხელისუფლების, რომელიც ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის რაიმე ფორმით აღდგენის პერსპექტივა შეიძლება არსებობდეს, –განაცხადა ნინო კალანდაძემ.

რუსეთის დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა „ედინაია რასიას" ყრილობაზე განაცხადა, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ახორციელებს მასშტაბურ პროექტებს და ამით დიდ ქვეყანას აშენებს. გრიზლოვმა ევრაზიის კავშირის პროექტი იგულისხმა, რომლის ავტორი ვლადიმერ პუტინია.

1 დეკემბერს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს 12-ე სხდომა გაიმართება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული ფორმატი საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ყველაზე მაღალი ინსტიტუციური ფორმატია.

შეხვედრა მინისტრების დონეზე გაიმართება და ქართული დელეგაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე უხელმძღვანელებს.

– ევროპული მხარე წარმოდგენილი იქნება პოლონეთის, როგორც ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საგარეო საქმეთა მინისტრით. კერძოდ, ევროპული მხრიდან სხდომას რადოსლავ სიკორსკი უხელმძღვანელებს, – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ასევე ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე.

მინისტრის მოადგილის თქმით, შეხვედრაზე განიხილება ევროკავშირსა და საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

პრესკონფერენციაზე მოსკოვში პატრიარქის ვიზიტის შეფასება სთხოვეს ჟურნალისტებმა ნინო კალანდაძეს.

თუმცა, საქართველოს საგარეო უწყებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსკოვში ვიზიტის შეფასება უჭირს.

როგორც ტრადიციულ ბრიფინგზე, საგარეო საქმეთა მინისიტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, საგარეო უწყება ამ ვიზიტის დაგეგმვასა და ორგანიზებაში არ მონაწილეობდა.

– თუ ვინმეს რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირებაში, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება, – განაცხადა ნინო კალანდაძემ. თუმცა, მინისტრის მოადგილის თქმით, დღეს არსებული სურათის გათვალისწინებით, რთული იქნება საუბარი რაიმე სახის გარღვევაზე და პოზიტიური წვლილის შეტანაზე ქვეყნებს შორის ურთიერთობის მხრივ.

– სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების დღევანდელი ქმედებები არ მიუთითებს იმაზე, რომ რაიმე სახის დაინტერესება აქვს ხელისუფლებას საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებისა. მით უმეტეს, როცა საკითხი ეხება დევნილების დაბრუნებას და ტერიტორიების ოკუპაციას. შესაბამისად, სკეპტიკურად ვართ განწყობილი იმ შედეგების მიმართ, რომელიც შეიძლება უახლოეს მომავალში დადგეს. რუსეთის ფედერაციის მხრიდან არ არსებობს მზაობა იმისა, რომ ამ საკითხების თაობაზე მოლაპარაკება შედგეს. რუსეთის ფედერაცია დღესდღეობით საპასუხო ნაბიჯებსაც არ დგამს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების შესახებ, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი უნტარესი ილია მეორე მოსკოვში, 18-24 ნოემბერს რუსეთის პატრიარქ კირილის საიუბილეო დღეებში მონაწილეობდა. საქართველოს პატრიარქმა კირილთან პირისპირ შეხვედრაც გამართა.

როგორც პატრიარქმა საქასრთველოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, მოსკოვში ვიზიტი იყო მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისთვის.

უწმინდესის თქმით, ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დევნილებთან დაკავშირებით.

– გვქონდა საუბარი ლტოლვილების შესახებ და იმედი გვაქვს, ლტოლვილები თავის სახლებში დაბრუნდებიან, – აღნიშნა პატრიარქმა. ილია II-ის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან და კათოლიკოს-პატრიარქ კირილთან შეხვედრისას ქართულმა მხარემ მეფეების – ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ II-ის საქართველოში გადმოსვენების საკითხი დააყენა.

კიდევ ერთი საკითხი რაზეც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ისაუბრეს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ეხება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს არ აქვს ოფიციალური ინფორმაცია საქართველოს საზღვრებზე ტვირთების მონიტორინგთან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესახებ.

როგორც ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, უახლოეს ხანებში გაიმართება კონსულტაციები შვეიცარულ მხარესთან, რომელიც ვალდებულია, ქართულ მხარეს აცნობოს იმის თაობაზე, თუ რა პირობებში გაიმართა ტენდერი და რომელი კომპანია გამოვლინდა გამარჯვებულად.

– მთავარია, რომ ჩვენ ვენდობით შვეიცარიის არჩევანს. შეთანხმების მიხედვით, შვეიცარია ირჩევს შესაბამის კომპანიას და გამოავლენს გამარჯვებულს. ეს კომპანია შვეიცარულ მხარის მიმართ არის ანგარიშვალდებული, – განმარტა მინისტრის მოადგილემ და დასძინა, რომ ქართულ მხარე ენდობა შვეიცარულ მხარეს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საგარეო უწყება არ ფლობს ინფორმაციას, რომელი კომპანიაა ტენდერში გამარჯვებული, თუმცა კალანდაძე აღნიშნავს, რომ ნებისმიერი კომპანია, რომელიც გამარჯვებულად გამოვლინდება, შვეიცარიის მიერ გულდასმით იქნება შერჩეული. რუსული მედიის ინფორმაციით, საქართველოსა და რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების საფუძველზე ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა კოპმანია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ტვირთბრუნვას საზღვრებზე. ამავე მედიის ინფორმაციით, ტენდერში გაიმარჯვა შვეიცარულმა კომპანიამ, რომელსაც რუსეთში 48 ფილიალი აქვს.

29-30 ნოემბერს საქართველოს სომხეთის პრეზიდენტი ეწვევა. გარად ამ ინფორმაციისა საგარეო უწყებაში განმარტეს, რომ 10 დეკემბრიდან ძალაში შედის თურქეთ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმება, რომელიც საზღვრის პირადობის მოწმობებით გადაკვეთას ეხება.

საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც ექნება ახალი პირადობოს მოწმობა, რომლის გაცემაც 2011 წლის 1 ივლისიდან არის დაწყებული 10 დეკემბრიდან შეეძლება თურქეთ-საქართველოს საზღვრის გადკვეთა.

– მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემისა და სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტით გადაკვეთონ ერთობლივი საზღვარი. საუბარია ორენოვან დოკუმენტზე, რომელიც საქართველოში უკვე ფუნქციონირებს. 10 დეკემბრიდან მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ სწორედ ამ დოკუმენტით გადაკვეთონ საზღვარი. დამატება, რომელიც შეთანხმებაში შევიდა ასევე ეხება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მეზღვაურებსა და მფრინავებს, – განაცხად კალანდაძემ.

საქართველოს საგარეო უწყებაში ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება გაკეთდა.

სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს ეგვიპტეში მოგზაურობისაგან თავი შეიკავონ, სანამ ქვეყანაში მწვავე პროცესებია.

# გელა მთივლიშვილი: „ყოველ წუთს ველოდები საჩიშვილის მხრიდან ძალადობას"

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ცენტრის ინფორმაციით, საჩიშვილს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ. თელავის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, საჩიშვილმა ერთ-ერთ საქმეზე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს ბრალი კანონით დადგენილ ვადაში არ წაუყენა, რის გამოც პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდა. ვფიქრობ, რომ სწორედ აღნიშნულმა სტატიამ გამოიწვია ლევან საჩიშვილის გაღიზიანება.

იქიდან გამომდინარე, რომ საჩიშვილის გაღიზიანება გამოწვეულია ჩემი პროფესიული საქმიანობის განხორციელებით, კერძოდ, ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებით, გამიჩნდა მის მიერ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ლევან საჩიშვილი არის კახეთის საოლქო პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი, მისი ძმა, აკა საჩიშვილი მუშაობს თელავის პოლიციის უფროსის მოადგილედ, ამასთან, კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილი და დაზუსტებული ინფორმაციით, ვიდრე თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით ლევან საჩიშვილს პროკურატურიდან გაათავისუფლებდნენ, მან და კიდევ ერთმა სამართალდამცავმა, ტაბელური იარაღით, თელავში, მამაკაცს ისე სცემეს, რომ დაშავებული რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება შიში, რომ ასეთი მუქარა რეალურად იქნება განხორციელებული. მე ყოველ წუთს ველოდები მისი მხრიდან ძალადობრივ ქმედებას. ყველა ადამიანს აქვს მშვიდ და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება, ლევან საჩიშვილის რეალური მუქარები კი არ მაძლევს მშვიდად ცხოვრების საშუალებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, დასჯადია.

ამასთან, მუქარის წერილით ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მას სურს მე, როგორც ჟურნალისტმა, არ განვაგრძო ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა, რადგან მუქარის წერილი ჩემი ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე იქნა გამოგზავნილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, დასჯადია. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ძალადობის მუქარით კი დამამძიმებელი გარემოებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეაფასოთ ჩემს მიერ მოყვანილი გარემოებები სამართლებრივად და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე დაიწყოთ გამოძიება", – წერს მთივლიშვილი თავის საჩივარში.

# ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოში დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენთა საქმეზე ქართული მხარის სარჩელის განხილვას იწყებს

ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლო 30 ნოემბრიდან საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყების მიერ შეტანილი სარჩელის განხილვას იწყებს.

ქართული მხარის სარჩელი ამავე სასამართლოს მიერ საქართველოსთვის ისრაელელი ბიზნესმენების: რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარის გადახდის დაკისრების გადაწყვეტილების გაუქმებას ითვალისწინებს.

როგორც „მედიანიუსს" ებრაელი ბიზნესმენების ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, სავარაუდოდ, ქართული მხარე სასამართლოსთვის დამატებითი მტკიცებულების წარდგენას აპირებს.

ქართული მხარის სააპელაციო სარჩელის განხილვაში მონაწილეობას ამჟამად ქართულ ციხეში პატიმრობაში მყოფი ებრაელი ბიზნესმენი, რონი ფუქსიც მიიღებს. იგი ლონდონს ვიდეო-ხიდის მეშვეობით თბილისიდან, სახალხო დამცველის ოფისიდან დაუკავშირდება.

ქართული მხარის სააპელაციო სარჩელის განხილვა ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

გარდა ამისა, როგორც კბილაშვილმა „მედიანიუსს" აცნობა, თავის დროზე ისრაელელი ბიზნესმენების მიერ მოგებულ სარჩელთან დაკავშირებით, ქართულ მხარეს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში მეორე სარჩელიც აქვს შეტანილი. ამ სარჩელის განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ საარბიტრაჟო სასამართლო ზემოხსენებულ პირველ სააპელაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს.

„მეორე სარჩელში ქართული მხარე ამტკიცებს, რომ როდესაც ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლომ საქართველოს ებრაელი ბიზნესმენების სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა, შესაბამისი უფლებამოსილება არ ჰქონდა და ამიტომ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. მეორე სარჩელის განხილვა იმ შემთხვევაში დაიწყება, (ეს მოხდება მომდევნო წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში) თუ სასამართლო ქართული მხარის პირველ სარჩელს არ დააკმაყოფილებს და განაჩენს ძალაში დატოვებს", – განაცხადა კბილაშვილმა.


არჩილ კბილაშვილი

შეგახსენებთ, რომ რონი ფუქსისა და მისი ბერძენი პარტნიორის, იონას კარდასოპულოსის კომპანია „ჯი-თი-აი" საქართველოში 1992 წლიდან ნავთობისა და გაზის მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების ბიზნესში მონაწილეობდა. მათ 1993 წელს საქართველოს მაგისტრალურ ნავთობსადენზე 30 წლიანი კონცესიის უფლება მოიპოვეს. თუმცა 1996 წელს საქართველოს მთავრობამ კონტრაქტი გაწყვიტა.

საქართველოს მთავრობისგან კომპენსაციის მისაღებად „ჯი-თი-აის" დამფუძნებლებმა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს „საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრს" მიმართეს. ცენტრი „მსოფლიო ბანკის" ჯგუფში შედის. საქართველოს მხარის ორგზის მცდელობის მიუხედავად ცენტრმა ქართული მხარის არგუმენტები არ გაითვალისწინა და 2010 წლის 3 მარტს ქართულ მხარეს 90 მილიონ 250 ათასი ამერიკული დოლარის გადახდა დააკისრა. ცენტრის განაჩენით საქართველომ დაარღვია ენერგო ქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულება და ფუქსთან მიმართებაში საქართველომ ასევე დაარღვია ისრაელსა და საქართველოს შორის ინვესტიციების დაცვის შესახებ დადებული ორმხრივი ხელშეკრულება.

2010 წლის 30 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა.

მოგვიანებით, რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ბათუმში ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ფუქსი და ფრენკელი ხარაიძეს 7 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ იმაში, რომ ქართულ მხარეს საარბიტრაჟო სასამართლოში ზემოხსენებული განაჩენის გასაჩივრებისაგან ხელი აეღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ებრაელი ბიზნესმენების საქმეზე განაჩენი გამოიტანა. სიხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზეევ ფრენკელი დამნაშავედ სცნეს და მას ექვსი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ასევე დაეკისრა ჯარიმა – 100 ათასი ლარი. რონი ფუქსს, ამავე მუხლის შესაბამისად, შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და მისთვის ჯარიმის ოდენობა ნახევარი მილიონი ლარით განისაზღვრა.

ისრაელელმა ბიზნესმენებმა დანაშაული არ აღიარეს და საქმე ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდეგ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. ზეევ ფრენკელმა ქართულ ციხეში ინფარქტიც გადაიტანა.

მედიანიუსი

# რა რეიტინგი აქვს ბიძინა ივანიშვილს

შორენა გონგლაძე

7 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლებამ მოსვენება დაკარგა, ეს ის „ავადსახსენებელი“ თარიღია, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას მისი პოლიტიკაში მოსვლის სურვილი ამცნო. ამ განცხადების შემდეგ პოლიტიკური ამინდი უწინდელთან შედარებით საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა. კომპანიები გამოკითხვას გამოკითხვაზე ატარებენ, ძირითადად იმ იმედით, რომ ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და დრო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იმუშავებს. გულის დარდს ხელისუფლება ძირითადად დაკვეთილი გამოკითხვებით იქარვებს, თუმცა სირაქლემას პოზაში ყოფნა რამდენად მომგებიანი იქნება, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

მორიგი გამოკითხვა კომპანია IPM-მა ჩაატარა, რომელიც ხელისუფლებისთვის არც ისე სასიამოვნო შედეგებით დამთავრდა.

გამოკითხულთა 41% ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის სურვილს პოზიტიურად აფასებს. კვლევის შედეგები ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსდა.

მიმდინარე თვეში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის სურვილს გამოკითხულთა 26% ნეიტრალურად აფასებს, 16% – ნეგატიურად, ხოლო დანარჩენს უჭირს თქმა, მოვლენა პოზიტიურია თუ არა.



რესპონდენტთა 43% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის მიზნებს მიაღწევს, 20%-ის აზრით, ბიზნესმენი ვერ შეძლებს დეკლარირებული მიზნის მიღწევას, დანარჩენი რესპონდენტები მომავლის შეფასებებისგან თავს იკავებენ და მიიჩნევენ, რომ წინასწარმეტყველების უნარი არ აქვს.

ამასთან, გამოკითხულთა 30% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა ძირეულად შეცვლის პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში, 23%-ის აზრით კი ვითარება მეტნაკლებად შეიცვლება. გამოკითხულთა 17% არანაირ ცვლილებებს არ ელოდება მხოლოდ იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილს ცვლილებების სურვილი გაუჩნდა. დაახლოებით 30% ისევ თავს იკავებს დაკავდეს წინასწარმეტყველებით.

გამოკითხულთა 53%-ის აზრით, საქართველოში ვითარება მეტნაკლებად მაინც შეიცვლება, უმცირესობაში კი სკეპტიკოსები აღმოჩნდნენ.

IPM-მა 2 500 რესპონდენტი გამოკითხა.

„გასაგებია, რომ პირდაპირი (ფიზიკური) რესურსი ბიძინა ივანიშვილისთვის სწორედ ის ამომრჩეველია, რომელსაც ცვლილებების იმედი აქვს. სხვა, თუნდაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციის მოწინააღმდეგე ამომრჩევლები არც ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები არიან, რადგან მხარდაჭერა ამ კონტექსტში არჩევნებზე მისვლას და ხმის მიცემას ნიშნავს და არა ზოგადი პოლიტიკური ორიენტაციის არსებობას. გამოდის, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი რესურსია“, – ნათქვამია კვლევაში.

კვლევის ავტორების თქმით, სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოზიტიური რესურსის ფორმირებაში 50%-იანი წილით მონაწილეობს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების, ურთიერთობების აღდგენის სურვილის ცვლადი.

„ახალი პოლიტიკური ძალის გამარჯვება არ არის შესაძლებელი მარტივი, ერთ სეგმენტზე ორიენტირებული სტრატეგიით (რევოლუციური სტრატეგიით), რადგან ასეთი ერთი სეგმენტი, სადაც საკმარისი ხმებია ლოკალიზებული, არ არსებობს. შესაბამისად, მომგებიანი სტრატეგია სხვადასხვა სეგმენტზე, სხვადასხვა პოლიტიკურ აქტივობებს უნდა გულისხმობდეს. ამ ვითარებაში „ნაციონალურ მოძრაობას“ საქმე უკეთ აქვს, რადგან მისი რეიტინგების განმაპირობებელი ფაქტორი უალტერნატივობაა. მის რეიტინგებს განაპირობებს მიმდინარე წარმატებების დინამიკა და ქვეყნის უკეთესი მომავლის ხედვის პრაქტიკა. შესაბამისად, სიღნალიზაცია ის ფაქტორია, რაც მუშაობს, და სავარუდოდ მომავალშიც იმუშავებს“, – წერენ IPM-მა კვლევის ავტორები.

# ლაშა ჩხარტიშვილი: თბილისელებს მალე აირწინაღით მოუწევთ სიარული

შორენა გონგლაძე

გუშინ, იპოდრომის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების გაჩეხვის შეწყვეტის მოთხოვნით თბილისის მერიასთან აქცია გაიმართა.

აქცია ორგანიზებული იყო ლაშა ჩხარტიშვილის მიერ და მასში მონაწილეობა გარემოსდამცველებმა, ექიმებმა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ჩხარტიშვილმა აქციაზე აირწინაღი მიიტანა და განაცხადა, რომ მალე თბილისელებს ჰაერის დაბინძურების გამო აირწინაღებით მოუწევთ სიარული.

მისი განცხადებით, ნადგურდება იპოდრომის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონა, 50-წლიანი ხეები, რომლებიც თბილისელების ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანია.

ჩხარტიშვილის განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხელისუფლების წარმომადგენლებს გიორგი უდესიანი და ნიკა რურუას ძმა, გიორგი რურუა აწარმოებენ მშენებლობას, რის გამოც ანადგურებენ ხეებს.

გარემოსდამცველების და ექიმების განცხადებით, მწვანე ნარგავების განადგურება მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის. აქციის მონაწილეებმა მერიაში განცხადება შეიტანეს და ხეების გაჩეხვის შეწყვეტა მოითხოვეს.

ლაშა ჩხარტიშვილმა თბილისის მერიაში გიგი უგულავას სახელზე საჩივარიც შეიტანა, რომელიც იპოდრომის ტერიტორიაზე ხეების ჩეხვასა და მიმდინარე მშენებლობას უკავშირდება.

ჩხარტიშვილმა თბილისის მერს „კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისკენ“ მოუწოდა.

„უგულავა, რომელიც ველოსიპედებით სიარულსა და ელექტრომობილებს პროპაგანდას უწევს, სინამდვილეში დედაქალაქის ეკოლოგიურ საგანძურს ანადგურებს. მან კანონით დაკისრებული მოვალეობა უნდა შეასრულოს და იპოდრომის ტერიტორიაზე ხეების ჩეხვა და უკანონო მშენებლობა შეაჩეროს. ამის მაგივრად იგი სააკაშვილისა და მისი კლანის ფინანსურ გაძლიერებაზე ზრუნავს. იპოდრომზე ჰექტარზე მეტ ფართზე მშენებლობა მიმდინარეობს, თუმცა იქ არც აბრაა გამოკრული, რომელზეც მშენებელი კომპანია ან შენობის დანიშნულება იქნება მითითებული. ამ მშენებლობის გამო 20 ხე უკვე გაჩეხილია, 40-ს ძირი გამოუთხარეს და ბეტონი ჩაასხეს, რაც, სავარაუდოდ, მათ გახმობას გამოიწვევს, ღობის იქეთ კი 100-მდე ნარგავია მოყოლილი. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული მშენებლობა კულტურის მინისტრ ნიკა რურუას ძმის გიორ-



გი რურუასა და ხელისუფლების წარმომადგენლის გია უდესიანის სახელს უკავშირდება“, – განაცხადა ჩხარტიშვილმა.

მისივე თქმით, „თუ აღნიშნულ საჩივარს გამოხმაურება არ მოჰყვება, ის სასამართლოსაც მიმართავს“.

„გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებს წერილები დაეგზავნებათ, რომელშიც იმაზე იქნება საუბარი, როგორ ნადგურდება საქართველოში მწვანე ნარგავები“, – განაცხადა ჩხარტიშვილმა და დასძინა, რომ ის „ბრძოლას სამართლებრივად თუ საპროტესტო აქციებით ბოლომდე გააგრძელებს“.

აქციას გამოეხმაურა თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი. მისი თქმით, იპოდრომის ტერიტორიაზე რამდენიმე ხმელი ხე მოჭრეს, თუმცა 60-მდე ნარგავიც გადაირგო.

„შესაბამისად, ის ინფორმაცია, თითქოს ჯანმრთელი ხეები მოიჭრა, სიმართლეს არ შეესაბამება“, – განაცხადა ქორქაშვილმა.

# საჯარო რეესტრი: „ქართული ოცნება“ უკვე დარეგისტრირებულია

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ უკვე დაარეგისტრირა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საჯარო რეესტრიდან აცნობეს, 2011 წლის 24 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო განცხადება ახალი სუბიექტის– ა(ა)იპ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე უკვე აღნიშნულია, რომ სარეგისტრაციო განცხადება დასრულებულია.

ამონაწერის მიხედვით, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია, ხოლო გამგეობის წევრები ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ვოლსკი და ზაალ გოგსაძე.

მოძრაობის ოფისი თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ერეკლე მეორეს მოედანზე, ანტონ კათალიკოსის 3/36-შია განთავსებული.

პრაიმ–ნიუსი

# სერგო ჯავახიძე გურჯაანის რაიონის მოსახლეობას შეხვდა




გურჯაანის საკრებულოს წევრის, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის შმაგი გაბახაძის ინიციატივით გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენისა და ზეგაანის მოსახლეობას შეხვდა მოძრაობის ლიდერი სერგო ჯავახიძე და გააეცნო მოსახლეობის პრობლემებს.

როგორც „მედიანიუსს“ მოძრაობიდან აცნობეს, შეხვედრაზე მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა ადგილობრივი თვითმართველობის მისამართით ზამთრის დადგომასთნ დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გამო. კერძოდ, სოფელს შეექმნა შეშის დამზადების პრობლემა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სოფელი არ არის გაზიფიცირებული, ხოლო „სოკარ ჯორჯიას“, რომელიც აწარმოებს გაზიფიცირების სამუშაოებს, სოფელ ახაშენში მუშაობის განახლების შესახებ ინფორმაცია დეკემბრის თვის ბოლოს ექნება, რაც ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სოფლების მოსახლეობას წლევანდელი ზამთრის გატარება გათბობის გარეშე მოუწევთ.

შმაგი გაბახაძე უახლოესი საკრებულოს სხდომაზე აპირებს ზემოხსენებული პრობლემის გატანას და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

შეხვედრაზე ჯავახიძემ ისაუბრა „კარდაკარის“ პროგრამის დავალიანებასთან დაკავშირებულ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც, უახლოეს თვეებში დაიწყება თანხის გასტუმრება და მხარდამჭერებს გააცნო მომავალი საქმიანობის გეგმა. აქვე მოსახლეობას წარუდგინა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მოძრაობის გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან ხაზიური, რომლის დასახელებასაც აპირებს მოძრაობა.

შეხვედრას ესწრებოდა ადგილობრივი ტელევიზია, რომელთან ინტერვიუშიც მოძრაობის ლიდერმა სერგო ჯავახიძემ მოითხოვა ამ საკითხის მოგვარებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების დასჯა და პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე მიმართავს ხელისუფლებას სად გაქრა ხელისუფლების დანაპირები: „გაზი ყველა სოფელს!“, თუ ეს მხოლოდ წინა საარჩევნო ცრუ დაპირება არ იყო. ამაზე მოსახლეობას ხელისუფლებამ უნდა გასცეს პასუხი.

მედიანიუსი

# ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო თბილისის მერიას პასუხობს

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო თბილისის მერიის საპასუხო განცხადებას ავრცელებს და კატეგორიულად უარყოფს დედაქალაქის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებას, თითქოს ზაზა ხუხუა ქართუ ჯგუფიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მასთან სტუმრად დედაქალაქის მერი მივიდა.

„ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო ადასტურებს, რომ ზაზა ხუხუა ქართუ ჯგუფში შემავალ ასოციაცია „ატუს“ თანამშრომელი იყო და მონაწილეობას იღებდა ოპერის თეატრის მშენებლობის პროცესში. ზაზა ხუხუა დაქირავებულ მუშად „ატუში“ 2011 წლის 5 მაისიდან ირიცხება და მას ოქტომბრის თვეში თვიური ანაზღაურება და ნოემბრის თვეში ავანსის სახით 140 ლარი აქვს აღებული. ზაზა ხუხუა სამსახურში თითქმის ერთი თვეა აღარ გამოჩენილა, თუმცა ოფიციალურად კონტრაქტი ქართუ ჯგუფს მასთან არ შეუწყვეტია და ის დღემდე „ატუს“ თანამშრომლად ითვლება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პრესსამდივნოს მიაჩნია, რომ „დედაქალაქის მერიის წუხილი, თითქოს „ქართუ ჯგუფში“ ადამიანების დასაქმება და მათი სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება, სიმართლეს არ შეესაბამება და დედაქალაქის მერიისგან აპელირება თემით, რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით არჩევა ხდება, ცინიზმის გამოხატულებაა“.

პრაიმ–ნიუსი

# საქართველოს პარლამენტს საქმიანობა დეკემბრის ბოლომდე მოუწევს

საქართველოს პარლამენტს საქმიანობა დეკემბრის ბოლომდე მოუწევს.

ამის შესახებ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა.

მისი თქმით, პარლამენტს რამდენიმე რიგგარეშე სხდომის გამართვა მოუწევს. ეს დამოკიდებულია დღის წესრიგზე და იმ საკითხებზე, რომელიც პარლამენტს აქვს მისაღები.

პარლამენტის რეგლამენტით, საშემოდგომო სესია დეკემბრის მესამე პარასკევს იხურება.

პრაიმ–ნიუსი

# ბაქრაძე: ცხინვალში არჩევნები არ ჩატარებულა



პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის შეფასებით, ოს სეპარატისტთა არჩევნებს ხალხის ნების გამოხატვასთან არაფერი საერთო აქვს.

როგორც ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ბაქრაძემ განაცხადა, არჩევნები ხალხის ნებისა და პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს, თუმცა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებს არ შეიძლება არჩევნების ეწოდოს.

„მაშინ როცა ათიათასობით ჩვენს თანამოქალაქეს საკუთარ სახლებში დაბურებისა და საკუთარი ნებისა და პოზიციის გამოხატვის საშუალება არ ეძლევა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებს არ შეიძლება არჩევნების ეწოდოს“ – განაცხადა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ე.წ. არჩევნების შეფასებისას, აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ცხინვალში მიმდინარე პროცესისადმი იგივე პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებას გააჩნია.

ცხინვალში ე.წ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 27 ნოემბერს გაიმართა.

პრაიმ–ნიუსი

# აჭარაში დიდთოვლობაა

დიდთოვლობის გამო შუახევის რამდენიმე სოფელს გუშინ დენის მიწოდება შეუწყდა. როგორც ,,მედიანიუსს“ ,,ენერგო პრო ჯორჯიაში“ განუცხადეს, მოსახლეობას დენის მიწოდება წუხელ აღუდგა. შესაძლოა, დენის გადამცემი ხაზები ლოკალურად დაზიანდეს, რაც თოვლისგან იქნება გამოწვეული.

შუახევის მუნიციპალიტეტში თოვლის საფარის სიმაღლემ დაბლობში – 30 სანტიმეტრს, მაღალმთიან სოფლებში კი 70 სანტიმეტრს მიაღწია. გაწმენდილია თემების ცენტრებთან მისასვლელი გზები. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნუგზარ ამაღლობელის ინფორმაციით, სოფლებში შემავალი გზების გაწმენდა, გამოდარების შემთხვევაში, დღეს დაიწყება.

ხულოს მუნიციპალიტეტში თოვლის საფარის სიმაღლემ დაბაში 70 სანტიმეტრს მიაღწია, მაღალმთიან სოფლებში კი – ერთ მეტრს გადააჭარბა. გზებზე მანქანების გადაადგილება მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებითაა შესაძლებელი. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფორმაციით, ცენტრალური და შიდასასოფლო გზების ნაწილი თოვლისგან გაწმენდილია. მუნიციპალიტეტში საგანგებო შტაბი შეიქმნა, რომელიც კოორდინაციას უწევს სახანძრო, სასწრაფო, საგზაო, სამაშველო და ენერგოკომპანიის სამსახურების მუშაობას.

მედიანიუსი

სპორტი

# არმიამ დებიუტი დუბლით აღნიშნა

**არმია – ყოჩები 26:16**

არმია: კობახიძე, ტუჩაშვილი, გაბროშვილი (გაგოშვილი 62), მჭედლიძე, შკინინი, ელიზბარაშვილი, სამხარაძე; ქორიძე (კაკოვინი 54), მეკოკიშვილი, დონაძე (ნავროზაშვილი 62), ბიწაძე, ბუჯიაშვილი (მამრიკიშვილი 74), თხილაიშვილი, კალმახელიძე, თავართქილაძე

**2 ლელო:** ელიზბარაშვილი, თხილაიშვილი

**2 რეალიზაცია:** კობახიძე

**4 ჯარიმა:** კობახიძე

ყოჩები: მახარაშვილი, გეგენავა, მაისურაძე, ინაშვილი (გარუჩავა 60), ხარშილავა, გაბუნია, ბეგაძე; ესაკია (გოგიშვილი 45), მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი (ბეჟიაშვილი 58), ბელაშვილი, არჩუაშვილი, მალაღურაძე, გრძელიშვილი (ცხვედიანი 54), ნიკოლაიშვილი

**1 ლელო:** მალაღურაძე

1 რეალიზაცია: მახარაშვილი

**3 ჯარიმა:** მახარაშვილი

თბილისის „არმია" სადებიუტო სეზონში მარტო ჩემპიონობას არ დასჯერდა და „ლიბერთს თასის" მოგებით დუბლი შეასრულა. დაგვეთანხმებით, პირველივე სეზონში მართლად დიდებული შედეგია და თუ გავითვალისწინებთ, რომ არმიელები მეტოქეებს აშკარად სჯობდნენ, ნამდვილად ღირსეულად იმსახურებდნენ.

„ლიბერთის თასის" ფინალშიც ფავორიტად „არმია" ითვლებოდა – მეტოქედ ხომ პირველ ლიგაში დაქვეითებული „ყოჩები" ჰყავდა. „ყოჩებმა" სეზონი აშკარად ჩააგდო და რეგულარული პირველობის ბოლო ადგილზე დასრულებით უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, თუმცა, თასზე შესანიშნავად ითამაშა – ნახევარფინალში მისი აწ უკვე ყოფილი მფლობელი თბილისის „ლელო" ორი მატჩის ჯამში ერთი ქულით დაამარცხა და ფინალშიც დიდი ბრძოლა გაუმართა მეტოქეს, მაგრამ ბრძოლამ ამჯერად მიზნამდე ვერ მიიყვანა.

შეხვედრა „ყოჩების" უპირატესობით დაიწყო და მე-7 წუთისთვის შავლეგ მახარაშვილს საკუთარი გუნდის დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ კარის გასწვრივ დანიშნული ჯარიმა ვერ გამოიყენა. ხუთ წუთში „არმია" თამაშგარესთვის უფრო ახლოს დაჯარიმდა და ამჯერად, მახარაშვილმა ზუსტად დაარტყა. არმიელები საწყისი მეოთხედის შემდეგ, უკვე ინიციატივაც მოიპოვეს. მართალია, გიორგი ელიზბარაშვილის ცენტრიდან დარტყმულმა არეკნმა მიზანს ვერ უწია, მაგრამ 21-ე წუთზე, ბახვა კობახიძემ ჯარიმა უკვე ზუსტად დაარტყა და წონასწორობა აღადგინა.

25-ე წუთზე არმიელებმა ულამაზესი ლელო გაიტანეს – ელიზბარაშვილმა თავის ნახევარზე მიიღო ბურთი, ხაზი გაჭრა, ფინტებით ყველა შემხვედრი ჩამოიცილა და მართალია, ჩათვლის მოედნამდე ერთ მეტრში, მახარაშვილმა მისთვის წონასწორობის დაკარგვა მოახერხა, მაგრამ შემტევმა ბურთზე კონტროლი არ დაკარგა, წამოხტა და ლელო მაინც გაიტანა, კობახიძემ კი, რეალიზაცია გამოიყენა. ამან „არმიის" კიდევ უფრო მეტი მუხტი მისცა – 34-ე წუთზე, ლაშა თავართქილაძემ მეტოქეს ფეხით მოგერიების მცდელობა საკუთარ 22-ში დაუფარა და ლელოც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გიორგი თხილაიშვილმა ფეხით ძლიერად გაიგდო ბურთი და მანაც მოედანი დატოვა. შესვენებამდე, კობახიძეს უპირატესობის გაზრდის შანსი სამჯერ მიეცა, მაგრამ პირველ ორ ჯერზე მიზანმა უმტყუნა და მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, კარის გასწვრივ დანიშნული ჯარიმა გაიტანა და პირველი ტაიმის შედეგი დააფიქსირა – 13:3.

მეორე ნახევარი ზუსტად ისე დაიწყო, როგორც პირველი – მახარაშვილმა 47-ე წუთზე შორი მანძილიდან ჯარიმა კარამდე ვერ მიაწვდინა, მაგრამ ერთ წუთში დარტყმის შესრულების უფლება უკეთესი პოზიციიდან მიილო და ამჯერად ზუსტად დაჰკრა. ამის შემდეგ, ინიციატივა პირველი ტაიმის მსგავსად, არმიელთა ხელში გადავიდა, 53-ე წუთზე, მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 22 მეტრში, ხაზი თხილაიშვილმა გაჭრა და ლელო ძელებსშუა გაიტანა, კობახიძემ კი, რეალიზაცია გამოიყენა. მალე კობახიძეს ხელსაყრელი სიტუაციიდან ჯარიმა გაუცუდდა.

თამაში ერთ მომენტში კიდევ უფრო დაიძაბა – 67-ე წუთზე არმიელებმა ბურთის ფეხით მოგერიების ნაცვლად, საკუთარი 22-იდან ხელდახელი შეტევა სცადეს, მაგრამ დაკარგეს და მარჯვენა ალამთან, ჯაბა მალაღურაძემ ლელო გაიტანა, ხოლო მახარაშვილმა ზუსტი რეალიზაციით ჩამორჩენა ერთ გარდასახულ ლელომდე დაიყვანა.

ორიოდ წუთში, კობახიძემ 32 მეტრიდან ჯარიმა ზუსტად შეასრულა და თანაგუნდელები ოდნავ დაამშვიდა, მაგრამ „ყოჩებმა" მოინდომა და შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, მახარაშვილმა საპასუხო ჯარიმით დარჩენილ წუთებს ინტრიგა ისევ დაუბრუნა. მაგრამ „არმია" ისევ გააქტიურდა, დარჩენილი დრო მეტოქის ნახევარზე გაატარა, სათამაშო დროის ამოწურვის შემდეგ, კობახიძემ კარის გასწვრივ 18 მეტრიდან ჯარიმა ძელებსშუა გააძვრინა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 26:16.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

კულტურა

# ლექსო თორაძე 9-შვილიანი ოჯახისთვის დაუკრავს

*ეკა ირემაშვილი*

პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა" მორიგი გრანდიოზული კონცერტებისთვის ემზადება. მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ბოსტონისა და ლოს ანჯელესის შემდეგ თბილისში 29 და 30 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში საფორტეპიანო მუსიკის კონცერტებს გამართავს. საღამოები პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" ეგიდით ჩატარდება.



პირველი საქმელმოქმედო კონცერტის დაწყებამდე, მსოფლიოში ცნობილი ბანი პაატა ბურჭულაძე კონსერვატორიაში მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრას დაესწრებიან გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფი" წარმომადგენელი საქართველოში რულანდ მონაში და ვითიბი ბანკის გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე.

კონსერვატორიის ფოიეში გამოიფინება ფონდ „იავნანას" საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა, ქართველი და უცხოელი ვარსკვლავების მიერ გამართული საქველმოქმედო კონცერტების ფრაგმენტები და იმ ოჯახების ფოტოები, ვისაც შემოსული თანხითა და შემოწირულობებით ფონდმა ბინები შეუძინა და წლების მანძილზე ეხმარება.

პაატა ბურჭულაძეს გადაწყვეტილი აქვს, მედიის წარმომადგენლებს პირადად გააცნოს სიახლეს, რომელიც აგვისტოს ომის დროს დაობლებული ბავშვების დახმარების პროგრამას უკავშირდება.

საღამოს კი საზოგადოება უკვე ლექსო თორაძის მოსასმენად შეიკრიბება. კონსერვტაორიის დიდ დარბაზში დაგეგმილ კონცერტს წარმოადგენს ფონდი „იავნანა" და „ვი-თი-ბი" ბანკი. მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე მსმენელის წინაშე საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით წარსდგება, რომელსაც ბელგიის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ვახტან მაჭავარიანი უდირიჟორებს. კონცერტში მონაწილე ხელოვანებმა რეპეტიციები უკვე გაიარეს და ახლა მსმენელთან შესახვედრად ემზადებიან. „იავნანას" მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-დან 55 ლარამდეა.

თეონა ჯორბენაძე, ფონდ „იავნანას" სამხატვრო ხელმძღვანელი:

– ეს კონცერტები საქველმოქმედოა და ამ დღეებს განსაკუთრებით ელოდება 9 შვილიანი ოჯახი, რომელთაც სახლის გასაღები გადაეცემათ.

– რატომ ბატონი ლექსო თორაძე?

– ვფიქრობ, ლექსო თორაძე განსაკუთრებულად მოენატრა ქართველ მსმენელს, შემიძლია გითხრათ, ეს ჩვენთვის საოცნებო პროექტია. ყველაზე რთული საკონცერტო რიცხვების შეთანხმებაა ხოლმე, პაატას ყოველ მეორე დღეს სპექტაკლები აქვს, ბატონი ლექსოც ძალიან დაკავებულია და ბატონი ვახტან მაჭავარიანიც. მოკლედ, როგორც იქნა შესაძლებელი გახდა მათი შეკრება და 29 და 30 ნოემბერს გაიმართება კონცერტი. თუ რატომ ლექსო თორაძე, გიპასუხებთ, რომ ლექსო თორაძე თავისთავად ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია, რომელმაც ათეული წლების წინ, ურთულეს პერიოდში, საქართველოს სახელი მსოფლიოში გაიტანა. მოგეხსენებათ, იმ დროს რა რთული იყო ხელოვანს, შეიძლება ითქვას, უცნობი ქვეყნიდან მხოლოდ საკუთარი ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით დაემკვიდრებინა საკუთარი თავი. ლექსომ არათუ უბრალოდ დაიმკვიდრა თავი, არამედ მსოფლიო აღიარება დაიმსახურა. იგი კონცერტებს მართავს ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერის, ბოსტონის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, ლოს ანჯელესის ორკესტრებთან ერთად. ინდიანას უნივერსიტეტში მან უმაღლესი საშემსრულებლო დონის სტუდია ჩამოაყალიბა, რომელმაც მსოფლიო მუსიკალური კრიტიკის აღფრთოვანება დაიმსახურა.

– ამჟამად როგორია თქვენი ფონდის საქველმოქმედო საქმიანობა?

– რაც შეეხება, საქველმოქმედო მხარეს, „იავნანა" განაგრძობს პრევენციისა და რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართულობას, რაც ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციას გულისხმობს. ანუ ჩვენი ფონდისთვის პირველი რიგის საკითხად კვლავ ბავშვთა სახლებიდან ბავშვების საკუთარ ოჯახებში დაბრუნება და ინსტიტუციაში მოხვედრისგან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების შვილების პრევენციაა. ამ პროგრამის ფარგლებში 9 შვილიან ოჯახს გადაეცემა სახლის გასაღები. ჩვენ ასევე გავნაგრძობთ აგვისტოს ომის დროს დაობლებული 130 ბავშვის ყოველთვიურ დახმარებას, ეს პროგრამა კი 2008 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული უკვე სამი წელია ხორციელდება.

# ჯგუფი „სენდი" სომხეთშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვალმაც ფლეშმობის თანხლებით ჩაიარა. ევროფესტივალის მხარდასაჭერი პირველი ფლეშმობ-აქცია ერევნის ცენტრში 20 ნოემბერს გაიმართა. ფლეშმობი – ფესტივალის ფანებს გრანდიოზული სანახაობის თანამონაწილედ აქცევს. გულშემატკივარი სხვადასხვა ქალაქების მოედნებსა თუ სკვერებში იკრიბება და საკუთარ ემოციებს, დამოკიდებულებას ცეკვით, უჩვეულო მოძრაობებით, ან სხვა ფორმით გამოხატავს.

ერევანი მზადაა 2011 წლის საბავშვო ევროფესტივალს უმასპინძლოს. სცენის დამონტაჟება ერევანში ერთი თვით ადრე დაიწყო. ქალაქში ევროვიზიის ბილბორდები, ევროვიზიის ლოგოთ გაფორმებული სატრანსპორტო საშუალებები უკვე გამოჩნდა. სომხეთის მაუწყებელმა გაახმოვანა, რომ საბავშვო ევროფესტივალისთვის სცენა და განათება დამონტაჟებულია, დასრულებულია სხვა ტექნიკური სამუშაოებიც.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 300-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## ოტმარ ჰიტცფელდი: „ბაიერნი“ პლანეთის საუკეთესო სამ გუნდშია“

მწვრთნელის რანგში ორ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის თასი სამ მწვრთნელს აქვს მოპოვებული. პირველად ეს ლეგენდარულმა ავსტრიელმა სპეციალისტმა ერნსტ ჰაპელმა მოახერხა. მან ჯერ როტერდამის „ფეიენოორდს“ მოაგებინა ჩემპიონთა თასი, შემდეგ „ჰამბურგს“. ამჟამად შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდმა კი, ჩემპიონთა ლიგა ჯერ დორტმუნდის „ბორუსიას“ მოაგებინა, შემდეგ – მიუნხენის „ბაიერნს“. ჟოზე მოურინიომ კი ჯერ „პორტუსთან“ ერთად იმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, 2011 წელს კი იგივე თასი მილანის „ინტერს“ მოაგებია.

***– უპირველესად, იმაზე გთხოვთ თქვენი აზრის გამოთქმას, თუ რა ზეგავლენას მოახდენს „ბაიერნის“ თამაშზე ბასტიან შვაინშტაიგერის არყოფნა?***

– დანაკლისი დიდია. შვაინშტაიგერი მიუნხენელთა სათამაშო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ბასტიანი გუნდის შეტევების ორგანიზატორადაც გვევლინება და მაღალი საფეხბურთო ინტელექტითაცაა დაჯილდოებული.

***– ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, შვაინშტაიგერის ლიდერის თვისებებს ბევრი ეჭვით ყურებდა, შემდეგ კი იგი ნამდვილ ლიდერაც იქცა. მაინც რას თვლით საამისო მიზეზად?***

– ყოველთვის მაღიზიანებდა, როდესაც მის მიმართ კრიტიკული გამონათქვამები იწერებოდა. მის იმ ფეხბურთელად ჩამოყალიბებას, როგორც დღესაა, მხოლოდ დრო სჭირდებოდა. შვაინშტაიგერი ჩემი „ბაიერნში“ მუშაობის პერიოდშიც კი გუნდის მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო. იგი ბუნებისგან ლიდერის თვისებებითაა შემკული და პარტნიორებისთვის მის სიტყვას ყოველთვის დიდი წონა აქვს.

***– ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენში ჩატარდება. როგორ გგონიათ, „ბაიერნი“ გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს?***

– წინასწარ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ სადღეისოდ პლანეტის სამ საუკეთესო კლუბს შორისაა – მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონასთან“ ერთად ასეთად სწორედ მიუნხენურ კლუბს მივიჩნევ. „ბაიერნს“ დიდი შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გააღწიოს. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, კლუბის ხელმძღვანელობაც ამ მიზანს უსახავს ფეხბურთელებს და გუნდსაც საამისო პოტენციალი აქვს. ყოველ შემთხვევაში, მე „ბაიერნს“ ფავორიტთა შორის უყოყმანოდ დავასახელებდი. იმედია, „ბაიერნს“ ტრავმირებული ფეხბურთელები დაუბრუნდებიან და ჰაინკესს სეზონის გადამწყვეტ სტადიაზე ოპტიმალური შემადგენლობის დაყენების საშუალება მიეცემა.

***– რის შეცვლას ურჩევდით იუპ ჰაინკესს?***

– ის გამოცდილი სპეციალისტია და უჩემოდაც კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. „ბაიერნს“ შესაცვლელი არაფერი სჭირს. ჰაინკესის განკარგულებაში საკმარისი რაოდენობითაა მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებიც ტრავმირებული მოთამაშეების ნაცვლად გავლენ მინდორზე და ამით „ბაიერნის“ თამაში ოდნავადაც არ დასუსტდება. ბავარიელები ბრწყინვალე სეზონს ატარებენ და დარწმუნებული ვარ, წლის ბოლომდე დარჩენილ მონაკვეთსაც კარგად გაივლიან. ახალი წლიდან კი მწყობრში ტრავმირებული ფეხბურთელები ჩადგებიან და სეზონის დასკვნით და გადამწყვეტ ეტაპზე გუნდის თამაში კიდევ უფრო სოლიდური გახდება.

## მსაჯმა თვითმკვლელობა ბელგიაშიც სცადა

ბელგიის მე-2 დივიზიონში შაბათს გასამართი ერთ-ერთი მატჩი ლაინსმენის თვითმკვლელობის მცდელობის გამო გადაიდო. აუტსაიდერი „ტუბიცეს“ „ბრიუსელთან“ უნდა ემასპინძლა, მაგრამ მატჩის დაწყებამდე, 37 წლის კრის სხელსტრატე, მინდორზე გასვლამდე აბაზანაში ჩაიკეტა და ვენები გადაიჭრა. სისხლში ამოსვრილი საკუთარი თანაშემწე შეხვედრის არბიტრმა ჟერომ ეფონგ ნზოლომ აღმოაჩინა. შედეგად, მატჩი არ დაწყებულა. სხელსტრატე საავადმყოფოში იმყოფება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი, დამაკმაყოფილებელია.

ეს, ბოლო პერიოდში მსაჯის მიერ ვენების გადაჭრის მეორე გახმაურებული შემთხვევაა. გეხსომებათ, ერთი კვირის წინათ, იგივე მიზეზით არ ჩატარდა გერმანიის ბუნდესლიგის მე-12 ტურის მატჩი „კიოლნსა“ და „მაინცს“ შორის. იმ განსხვავებით, რომ მაშინ ვენები მთავარმა არბირტმა ბაბაკ რაფატმა ვენები სასტუმროში გადაიჭრა.

## ფედერერის მეასე ფინალი და 70-ე ტიტული

2011 წელს როჯერ ფედერერი და ჟო-ვილფრიდ ცონგა კარიერაში მე-11 შეხვდნენ ერთმანეთს. გარდა ამ სიმბოლური დამთხვევისა, ფედერერი მეასედ გავიდა გავიდა პრესტიჟული ტურნირების ფინალში და 70-ე გამარჯვება იზეიმა.

პირველ სეტში ფედერერმა, როდესაც ანგარიში 4:3 იყო მის სასარგებლოდ, ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და საქმე გამარჯვებამდე იოლად მიიყვანა – 6:3. მეორე სეტში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა და შვეიცარიელი 5:3 დაწინაურდა. თითქოს გამარჯვებაც ახლოს იყო, მაგრამ ცონგამ ბოლომდე იბრძოლა და მოახერხა მატჩი მესამე პარტიამდე მიეყვანა. დასკვნით სეტში კი როჯერმა ძალა მოიკრიბა, მთელ თავისი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობას აჩვენა და სეტიც მოიგო (6:3), კარიერის მეასე ფინალიც და წლის შემაჯამებელი ტურნირიც.

მატჩის დასრულების შემდეგ, ფედერერმა მადლობა გადაუხადა მეტოქეს, გულშემატკივრებს, თავისი ოჯახის წევრებს, ტურნირის ორგანიზატორებს და დასძინა, რომ ბოლო 10 დღის განმავლობაში ლონდონელ მაყურებელს ულამაზესი საჩოგბურთო პაექრობების თვალის მიდევნების საშუალება ჰქონდა. ამასთან, არც ის დამალა, რომ შეჯიბრებაზე გამარჯვებამ უზომოდ გამახარა, თუმცა, ასევე ძლიერ მომქანცაო.

ბოლოს კი იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ გამარჯვებით ახალ რეიტინგსიაში როჯერ ფედერერი მესამე ადგილამდე აღზევდება და ადგილს შოტლანდიელ ენდი მიურეის გაუცვლის.

# ნალექიანი ტური — დინამო ზესტაფონს ბრალს სდებს

დიდთოვლობის გამო, ეროვნული ჩემპიონატის მე-15 ტურში ერთადერთი მატჩი შედგა – „გაგრამ“ თბილისში, „მერანის სტადიონზე“ ზუგდიდის „ბაიას“ უმასპინძლა. მატჩების გადადებასთან დაკავშირებით უკვე საკმაოდ კამათიანი საუბრები მიდის.

მატჩების გადადებით უკმაყოფილო მხოლოდ საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ დარჩა, რომლიც კალენდრის მიხედვით „ზესტაფონს“ სტუმრობდა. კლუბის ვებგვერდზე სპეციალური განცხადებაც კი გამოქვეყნდა.

– საქართველოს ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის არ შედგა. შეხვედრის გადადების გადაწყვეტილება დილით, თბილისში, იმ დროს და ისეთ ვითარებაში იქნა მიღებული, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ადგილზე არ გაცნობიან შექმნილ მდგომარეობას. სამწუხაროდ, მასპინძელი კლუბის მხრიდან მატჩის ჩატარების მიზნით, რეალურად არანაირი პრაქტიკული ღონისძიებები არ იქნა განხორციელებული. საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ იმედოვნებს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ობიექტურად შეისწავლის შექმნილ სიტუაციას და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს არშემდგარი მატჩის მასპინძელი კლუბის მიმართ.

კლუბის პრესსამსახურის უფროსი გიგა გვენცაძე კი ასეთ კომენტარს აკეთებს:

– ზესტაფონი-დინამო კვირას, 18 საათზე უნდა დაწყებულიყო. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მიიღეს მატჩის გადადების გადაწყვეტილება შეხვედრის გამართვამდე 6 საათით ადრე თბილისში, ფეხბურთის ფედერაციაში ისე, რომ ფედერაციის არც ერთი წარმომადგენელი ადგილზე არ გასცნობია არსებულ ვითარებას. ზესტაფონის მსგავსი მეტეოპირობები, მაგრამ კარდინალურად განსხვავებული სურათი იყო მეზობელ ქუთაისში, სადაც „ტორპედო“-„მერანის“ შეხვედრა 16:00 საათზე უნდა დაწყებულიყო და მატჩის გადადების შესახებ გადაწყვეტილება უკანასკნელ წუთამდე არავის მიუღია, თამაშის ჩატარების მცდელობა ბოლო მომენტამდე იყო. ჩვენთვის გასაგებია, რომ „ტორპედოსთან“ სათასო მატჩის შემდეგ მეტოქეს, ჩვენს გუნდთან შედარებით, ნაკლები დრო ჰქონდა პრინციპული შეხვედრისთვის მოსამზადებლად და თუ მათი მხრიდან წინასწარ იქნებოდა მცდელობა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის გადადების თაობაზე, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი კლუბი გაგებით მოეკიდებოდა მსგავს წინადადებას. შეგახსენებთ, ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრის წინ ჩვენი კლუბის წარმომადგენლები ღიად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ „დინამო“ არ იქნებოდა წინააღმდეგი იმ თამაშის გადადების, ვინაიდან ევროთასებზე ასპარეზობის შემდეგ „დინამოს“ ძალიან მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობა ჰქონდა მეტოქესთან შედარებით, რომელმაც შეხვედრა ბელგიაში გამართა და ჩვენზე ნაკლები დრო ჰქონდა მატჩისთვის მოსამზადებლად, – აცხადებს გვენცაძე.

როგორც ხედავთ, „დინამოში“ თვლიან, რომ იმერულმა კლუბმა მატჩის გადადება შეგნებულად მოახერხა, რადგან ქუთაისის „ტორპედოსთან“ თასზე ჩატარებული რთული მატჩის შემდეგ ამ პრინციპული თამაშისთვის მოსამზადებლად ნაკლები დრი ჰქონდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ზეტაფონი“ ნალექს ვერ შუეკვეთავდა, რათა თავიდან აერიდებია მატჩი „დინამოს“ წინააღმდეგ.



ზესტაფონური კლუბის წარმომადგენლის, სერგო ფუტკარაძის თქმით კი, მათ ფედერაციაში გააგზავნეს ვიდეო და ფოტომასალა, რის შემდეგ მიიღეს პასუხი, რომ ასეთ პირობებში მატჩის ჩატერბა შეუძლებელი იქნებოდა.

ექსპერტთა აზრით კი, მოედნების სათამაშოდ მომზადება სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა საქართველოში ნაკლებად აქვთ შესაბამისი სპეცტექნიკა. საამისო ხარჯებს, ალბათ, იმიტომ ერიდებიან, რომ ჩვენთან არც ისე ხშირად თოვს. იმ ქვეყნებში, სადაც სპეცტექნიკა აქვთ, მსგავს კლიმატურ პირობებში მატჩები არ გადაიდებოდა. მოედნების გაწმენდა და თამაში გაუმართლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ გაზონი გაიყინებოდა, რაც კვირას საქართველოში არ მომხდარა.

**გაგრა – ბაია 0:1**

***27 ნოემბერი. თბილისი. „მერანი“***

**0:1 სიხარულია (30)**

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯგერენაია, ტყეშელაშვილი, ხუციძე, ნაკონეჩნი, ნ.ჯიშკარიანი, შარიქაძე, გაბედავა (სიჭინავა 84), კალანდაძე, ჯერემია, ყურულაშვილი (კვანტალიანი 74)

**ბაია:** სომხიშვილი, ტყემალაძე, ქვარცხავა, შონია, სიხარულია (თ.ჯიშკარიანი 89), რიგვავა, სამუშია (პაჭკორია 85), ეხვაია, აფაქიძე, ენდელაძე (ვეკუა 69), მგელაძე

დიდთოვლობის გამო ეს მატჩიც დაგვიანებით დაიწყო. ფაქტია, მინდორიც საშინელ მდგომარეობაში იყო და თამაშის ხარისხზე რომ არაფერი ვთქვა, ფეხბურთელებს მოძრაობაც კი უჭირდათ.

ამის გამო ფეხბურთელებს საჯარიმოში შესვლა უჭირდათ და ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო დარტყმა სტუმრებმა განახორციელეს, მაგრამ ირაკლი ეხვაიას დარტყმულ ბურთს გიორგი ბეგაშვილი იოლად დაეუფლა. შემდეგ არაზუსტი დარტყმები ერთიმეორეს მიყოლებით შეასრულეს გაგრელებმა – გიორგი ყურულაშვილმა და მიკოლა ნაკონეჩნიმ, ხოლო ლევან შარიქაძის დარტყმული კი, მეკარემ იოლად მოიგერია.

გაგრელებს ყველაზე რეალური საგოლე მომენტი 26-ე წუთზე შეექმნათ – ჯონ ჯერემიამ საჯარიმოში ცრუ მოძრაობით ერთი მცველი ჩამოიშორა და მარცხენა ფეხით ახლო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ მეკარე გიორგი სომხიშვილმა ბრწყინვალედ ითამაშა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

აქედან 4 წუთში გოლი „გაგრას“ კარში გავიდა – ზვიად სიხარულიამ საჯარიმოს ხაზიდან გაისროლა. გოლი მართლას შესაშური სილამაზის გამოდგა.

ტაიმის დასკვნით წუთებში, „გაგრას“ ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა – ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა გიორგი გაბედავა, მაგრამ ბურთი კარს ზევიდან გადააცილა. 45-ე წუთზე კი, ლევან შარიქაძის დარტყმული ბურთი აცსდა მიზანს.

მე-2 ტაიმში საგოლე იერიშებს ძირითადად მასპინძლები ახორციელებდნენ, რაც მოსალოდნელიც იყო. ჯელაძის გუნდი კვლავაც შორი მანძილიდან ცდილობდა სტუმართა კარის აღებას. ნაკონეჩნის დარტყმული კარს აცდა, ტყეშელაშვილის ჯარიმა კი, მეკარემ მოიგერია.

საგოლე მომენტი „ბაიამაც“ შექმნა – ირაკლი ეხვაია მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ამჯერად, ბეგაშვილმაც იყოჩაღა.

ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებს მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე შეეძლო, მაგრამ შარიქაძის საჯარიმოდან გასროლილი ხარიხამ აისხლიტა.

ბოლო წუთებში კი თავის გამოჩენა შეცვლაზე შესულ თამაზ ჯიშკარიანს შეეძლო, რომელიც მეკარესთან თითქმის ერთი-ერთზე დარჩა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29:14 | 32 |
| 2.დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 29:14 | 29 |
| 3.ტორპედო | 14 | 9 | 1 | 4 | 17:10 | 28 |
| 4.მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19:13 | 26 |
| 5.მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20:15 | 25 |
| 6.ბაია | 15 | 7 | 2 | 6 | 17:12 | 23 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 144 | | 4 | 6 | 13:20 | 16 |
| 8.გაგრა | 15 | 4 | 3 | 8 | 13:19 | 15 |
| 9.კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:20 | 13 |
| 10.სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | 13 |
| 11.დილა | 14 | 3 | 2 | 9 | 17:23 | 11 |
| 12.სიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 9:24 | 7 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 9-9 ბურთი; ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 8; გიორგი მანწკავა (მერანი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) – 6-6.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-ასტონ ვილა ..................... 0:0
ლივერპული-სიტი ..................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-სოსიედადი ..................... 2:3
ლევანტე-ხიხონი ..................... 4:0
მალიორკა-რასინგი ..................... 2:1
ესპანიოლი-ოსასუნა ..................... 1:2
ბილბაო-გრანადა ..................... 0:1
სარაგოსა-სევილია ..................... 0:1

**ესპანეთი. მე-2 დივიზიონი**

ერკულესი-ელჩე ..................... 1:2
საბადელი-მურსია ..................... 2:2

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ბოლონია ..................... 1:1
პალერმო-ფიორენტინა ..................... 2:0
სიენა-ინტერი ..................... 0:1
ჩეზენა-ჯენოა ..................... 2:0
მილანი-კიევო ..................... 4:0

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-პესკარა ..................... 1:1
გუბიო-ემპოლი ..................... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-შტუტგარტი ..................... 2:0
მაინცი-ბაიერნი ..................... 3:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ბოხუმი ..................... 4:0
ზანკტ პაული-დინამო ..................... 3:1
კოტბუსი-ინგოლშტადი ..................... 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიენი-ნიცა ..................... 1:0
ოსერი-ლიონი ..................... 0:3
მარსელი-პსჟ ..................... 3:0

**ჰოლანდია. ედივიზიონი**

ვალვაიკი-ფეიენოორდი ..................... 1:2
ექსელსიორი-დენ ჰააგი ..................... 1:1
ნაიმეგენი-აიაქსი ..................... 0:3
ტვენტე-ვიტესი ..................... 0:0

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

იგლზი-ზვოლე ..................... 0:1
ოსი-დენ ბოსხი ..................... 0:2
ჰელმონდი-ტილბურგი ..................... 0:7

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-ლეირია ..................... 2:1
ფეირენსე-რიუ ავე ..................... 2:0
პორტუ-ბრაგა ..................... 3:2
ფერეირა-ოლჰანენსე ..................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-კრასნოდარი ..................... 0:0
როსტოვი-ამკარი ..................... 1:1
ზენიტი-ლოკომოტივი ..................... 2:1
ანჟი-ცსკა ..................... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-რეინჯერსი ..................... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-ადმირა ..................... 3:1

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-გენკი ..................... 2:0

**შვეიცარია. თასი**

ბილი-სერვეტი ..................... 3:0
სტ.გალენი-ციურიხი ..................... 4:2
ვინთენთური-იანგ ბოიზი .... 1:1(3:2პ)
ვოლენი-ლუცერნი ..................... 1:2
კრინსი-გრასოპერსი ............ 2:2(3:5პ)

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-დოჰა ..................... 1:0
პანათინაიკოსი-ოფი ..................... 3:1
პანიონიოსი-არისი ..................... 2:1
ასტერასი-არისი ..................... 2:1
ქსანთი-ატრომიტოსი ..................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისტანბული-გაზიანთეპი ..................... 3:1
ერჩიესი-ანკარაგიუჯიუ ..................... 3:2
მანისა-ქაისერი ..................... 1:0
ტრაბზონი-ბეშიქთაში ..................... 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჟიჟკოვი-სლოვაცკო ..................... 0:1
ტეპლიცე-ბოჰემიანსი 1905 .......... 2:0
ბოლესლავი-ბუდეოვიცე ..................... 3:1
პრჟიბრჟამი-პლზენი ..................... 2:1
სიგმა-ჰრადეც კრალოვე ..................... 0:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ბელხატოვი ..................... 2:1
ლეხი-ვიძევი ..................... 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრის-ზარია ..................... 1:0

***ოლექსანდრიას გოლი დავით თარგამაძემ გაიტანა***

კარპატი-შახტარი ..................... 0:5
არსენალი-ჩერნომორეცი ..................... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ნორდსიელანდი ..... 1:2
სონდერიისკე-ლუნგბიუ ..................... 3:1
კოპენჰაგენი-კიოგე ..................... 2:1
ოლბორგი-ორხუსი ..................... 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-სტაბეკი ..................... 2:0
ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი 0:0
ალესუნდი-ბრანი ..................... 3:1
რუსენბორგი-ვიკინგი ..................... 3:2
სარპსბორგი-ოდ გრელანდი ........ 3:2
სონგდალი-მიოლდე ..................... 2:1
სტარტი-ტრომსო ..................... 1:6
ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი ...... 5:1

**ბრაზილია. სერია ა**

ამერიკა-ატლეტიკო(პ) ..................... 2:1
ატლეტიკო(მ)-ბოტაფოგო ..................... 4:0
გრემიო-ატლეტიკო(გ) ..................... 2:2
კურიტიბა-ავაი ..................... 1:0
პალმეირასი-სან პაულუ ..................... 1:0
სანტოსი-ბაია ..................... 1:1
სეარა-კრუზეირო ..................... 2:2
ფიგუირენსე-კორინთიანსი .......... 0:1
ფლამენგო-ინტერნასიონალი ...... 1:0
ფლუმინენსე ვასკუ ..................... 1:2

**არგენტინა. აპერტურა**

არსენალი-ესტუდიანტესი .......... 1:2
ველეჟი-კოლონი ..................... 1:1
ბანფილდი-არხენტინოსი ............. 2:2
გოდოი-ბოკა ..................... 1:2

**ფრენბურთი**

**მსოფლიო თასი**

ირანი-ეგვიპტე ..................... 3:0
რუსეთი-არგენტინა ..................... 3:0
ბრაზილია-კუბა ..................... 2:3
პოლონეთი-აშშ ..................... 3:0
იტალია-სერბეთი ..................... 3:1
იაპონია-ჩინეთი ..................... 3:0

**ჩოგბურთი**

**ატპ.შემაჯამებელი ტურნირი**

**ფინალი**

ფედერერი-ცონგა ............ 6:3;6:7;6:3

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ოტავა-კაროლინა ..................... 4:3
კოლამბუსი-სენტ ლუისი ............. 1:2
მინესოტა-კალგარი ..................... 2:5
ანაჰაიმი-ტორონტო ..................... 2:5

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „ფუკუსიმა-1“-ის დირექტორი საიდუმლო დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა



ავარიული იაპონური აესის „ფუკუსიმა-1“-ის დირექტორმა მასაო იოსიდამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო პოსტი იძულებით დატოვა. ის ამ დროისთვის საავადმყოფოში იმყოფება.

ატომური სადგურის მფლობელ კომპანიაში ამტკიცებენ, რომ 56 წლის დირექტორის ავადმყოფობა რადიოაქტიურ გამოსხივებას არ უკავშირდება. იოსიდას ჰოსპიტალიზაციის მიზეზები უცნობია, – იუწყება რია „ნოვოსტი“.

„ფუკუსიმა-1“-ს დირექტორი ოფიციალურად პოსტიდან ხუთშაბათს წავა, მაგრამ როგორც კომპანიაში განაცხადეს, ის სხვა თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს.

ამასწინათ მასო იოსიდამ აღიარა, რომ ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის პირველ დღეებში ის და ქვეშევრდომები რამდენჯერმე სიკვდილთან ახლოს იყვნენ. დირექტორი 12 ნოემბერს გულახდილი იყო ჟურნალისტებთან შეხვედრისას, რომლებიც სადგურის ტერიტორიაზე ავარიის შემდეგ პირველად დაუშვეს.

– ყველაზე მძიმე ავარიისშემდგომი კვირა იყო. პროგნოზებს ვერ ვაკეთებდით, თუ საერთოდ რა მოხდებოდა. რამდენჯერმე გავიფიქრე, რომ დავიღუპებოდით, – თქვა მან.

კომპანია „ტერსოში“ ირწმუნებიან, რომ იოსიდას ჰოსპიტალიზაციაში რადიაცია დამნაშავე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ დირექტორი ავარიის მომენტიდან ფუკისიმა ერთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ეკოლოგიური კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობდა. მისი შტაბი აესის ტერიტორიაზე გამაგრებულ შენობაში მდებარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ავარიულ სადგურში დაშვებული 26 ჟურნალისტიდან მხოლოდ ითხი იყო უცხოელი, ამასთან სამი – ფოტო და ტელეოპერატორები. ერთადერთი მწერალი საზღვარგარეთელი ჟურნალისტი „ნიუ იორკ ტაიმსის“ თანამშრომელი იყო, რომელმაც ეს უფლება ლატარიაში მოიგო.

სწორედ ამერიკელმა ეჭვქვეშ დააყენა იაპონიის რეპუტაცია, რომელიც ცდილობს მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ სიტუაციას აკონტროლებს – ამისთვის მომავალ წელს ქვეყნის ხელისუფლება 10 ათასი უფასო ავიაბილეთის გაცემას დაიწყებს და ამით უცხოელი ტურისტების მოზიდვას შეეცდება.

ამერიკელმა ჟურნალისტმა კი განაცხადა, რომ აესის სიახლოვეს ტყეში რადიაცია დასაშვებ დონეს 5 ათასჯერ აღემატება.

ხოლო ერთ-ერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ბირთვული ობიექტის ტერიტორიაზე დღემდე ყრია ნაგავი და გადაბრუნებული სატვირთოები. შენობის კედლები, სადაც რეაქტორებია განლაგებული, დაზიანებულია, მათ წინ ჩამონგრეული კონსტრუქციები ყრია და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ მასმედიის წარმომადგენლები „ფუკუსიმა-1“-ს ტერიტორიაზე ავტობუსით გადაადგილდებოდნენ, ყველანი დამცავ კოსტიუმებში იყვნენ.

„ფუკუსიმა-1“-ზე მარტის ავარიამ, რომელიც დამანგრეველმა ცუნამმა გამოიწვია, რადიაციის ჰაერში და მიწაში გაჟონვა გამოიწვია; რადიონუკლიდების მომატებული დონე აღმოაჩინეს წყალში, რძეში, ხორცში, ბოსტნეულში, სოკოში და ა.შ. ამასთან სადგურის მოშორებითაც კი. ატომური ენერგიის კომისიის მონაცემებით, სადგურის ირგვლივ 20-კილომეტრიანი ზონიდან, 146 ათასი ადამიანის ევაკუირება გახდა საჭირო.

# იუნუს-ბეკ ევკუროვი – საქართველოსთან პრობლემები არ გვაქს

საქართველოსთან პრობლემები არ გვაქვს, – რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იუნუს-ბეკ ევკუროვმა განაცხადა.

მისი თქმით, ინგუშეთში შესანიშნავი ქართული დიასპორა არსებობს.

– ისტორიულად ჩვენ ყოველთვის კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაკავშირებდა. ამ ქვეყანასთან 82 კმ-იანი საზღვარი გვაქვს, შესაბამისად ისტორიულად ჩვენ მუდმივად კარგად და მეგობრულად ვცხოვრობთ. საგარეო პოლიტიკა ჩვენ არ გვეხება, – განაცხადა ევკუროვმა.

მისივე თქმით, საქართველოს სასაზღვრო რაიონების მცხოვრებლები ინგუშებს ჰაჯის პერიოდში ყოველთვის ეხმარებიან.

– ჩვენი მომლოცველები ჰაჯზე მოგზაურობისას ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტიდან ნორმალურად გადაადგილდებიან. არასოდეს პრობლემები და დაძაბული ურთიერთობა არ გვქონია, ყოველთვის იყო მხოლოდ მხარდაჭერა, – აღნიშნა ევკუროვმა.

რესპუბლიკის მეთაური ასევე მადლობას უხდის საქართველოს კულტურის სამინისტროს ინგუშეთში განლაგებული უძველესი ტაძრის ფრაგმენტების რესტავრაციასა და დაბრუნებაში გაწეული დახმარებისთვის.

– საქართველოს მუზეუმში ინახებოდა ფრაგმენტები – ინგუშეთში მდებარე უძველესი ქრისტიანული ტაძრის 6 ქვა. რესტავრაციის შემდეგ ერთ-ერთმა ქართულმა მუზეუმმა ისინი ჩვენ გადმოგვცა, – აღნიშნა ევკუროვმა.



იუნუს-ბეკ ევკუროვი (დ. 29 ივლისი 1963, ტარსკოე, ჩრდილოეთ ოსეთი) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 2008 წლის 30 ოქტომბრიდან ინგუშეთის პრეზიდენტი. რუსეთის ფედერაციის გმირი (2000).

დაიბადა 1963 წლის 29 ივლისს, სოფელ ტარსკოეში. ყავს ექვსი ძმა და ხუთი და. გაიზარდა ქალაქ მალგობეკში. სკოლა დაამთავრა ბესლანში.

1982-1984 წწ. მსახურობდა წყნაროკეანური ფლოტის ქვეით ჯარში. სწავლობდა აგრეთვე რიაზანის საჰაერო-სადესანტო უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც 1989 წელს დაამთავრა. 1997 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია.

2009 წლის 22 ივნისს ევკუროვზე თავდასხმის მცდელობა განხორციელდა, რის შედეგად პრეზიდენტის ერთ-ერთი დაცვის წევრი ადგილზევე გარდაიცვალა.

თვით ევკუროვი და კიდევ ორი ადამიანი მძიმედ დაშავდა; იმ მომენტისთვის ევკუროვი ჯანმრთელობის მხრივ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო.

2009 წლის 23 ივნისს ევკუროვის თავდასხმის მცდელობაში ოთხი ეჭვმიტანილი დააკავეს. ანონიმური წყაროების მიხედვით, დაკავებულ პირებს ჰქონდათ კავშირი არაკანონიერ სამხედრო ფორმირებასთან.

2009 წლის 13 ოქტომბერს ალექსანდრე ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ ევკუროვზე თავდასხმის მონაწილენი განადგურებულები არიან. საგამოძიებო კომიტეტის მიხედვით, თავდასხმის ორგანიზაციაში მონაწილეები არიან აგრეთვე ალექსანდრე ტიხომიროვი და მაჰომედ ცოკიევი, რომლებიც ძებნაში არიან გამოცხადებულები.

ალექსანდრე ტიხომიროვი მოკლულ იქნა 2010 წლის 2 მარტს სოფელ ეკაჟევოში (ინგუშეთი).

# არაბული „სექსუალური რევოლუცია“: ოთხმა საუდელმა ორგია პირდაპირ ზნეობრივი პოლიციის შტაბის წინ მოაწყო

არაბულ სამყაროში „სექსუალური რევოლუციის ახალი ტალღა საუდის არაბეთის სამეფოს დედაქალაქ – ელ-რიადში დაფიქსირდა. მედიის საშუალებები იტყობინებიან „სექსუალური მანიაკების“ ჯგუფზე, რომელიც პირდაპირ რელიგიური პოლიციის შენობის წინ სექსით კავდებოდა. ეს უწყება „ღირსეული ქცევის ხელშეწყობის და სიმახინჯების აღკვეთის“ კომისიასთან ფუნქციონირებს – ამის შესახებ „ნიუსრუ ისრაელი“ იტყობინება.

ღამით შტაბის სიახლოვეს გააჩერეს ავტომობილი, რომელშიც სამი მამაკაცი და ერთი ქალი იმყოფებოდა. ეს ოთხეული მანქანიდან გადმოვიდა და სექსი პირდაპირ ზნეობრივი პოლიციის ფირნიშის წინ დაიწყეს, – ინფორმაციას საიტი „ემირატს247.კომი“ ავრცელებს.

„მანიაკები“ მომხდარს ვიდეოკამერით იღებდნენ და ზნეობრიობის დამცველებს აშკარად დასცინოდნენ. მალე ერთ-ერთმა მათგანმა გარე ვიდეოდაკვირვების კამერა დაინახა, რომელიც შენობაზეა დამონტაჟებული. რის შემდეგაც იგი გატეხეს, ხოლო კანონდამრღვევები „დანაშაულის ადგილიდან“ მიიმალნენ.

დილით სამუშაოზე მისულმა კომისიის თანამშრომლებმა გატეხილი კამერა ნახეს,



თუმცა მასზე ჩანაწერი დაზიანებული არ ყოფილა. მისი დახმარები სექს-აქციის მონაწილეების პორტრეტები შეადგინეს. ორი „დამნაშავე“ უკვე სამ საათში დააპატიმრეს. კიდევ ერთი მამაკაცის და ქალის ძებნა გრძელდება, წერს გაზეთი „საბქი“.

„სექსუალური მანიაკების“ დაკავების ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ დაპატიმრებულს ჩხრეკისას კალაშნიკოვის ავტომატი აღმოუჩინეს. ფაქტი საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ პოლიციის შტაბის წინ ორგია ბანდიტებმა მოაწყვეს.

გამოცემა „საბქის“ პუბლიკაციის მიხედვით, ორგიაში მონაწილე სამივე მამაკაცი საუდის არაბეთის ქვეშევრდომია. ქალის ეროვნების შესახებ მონაცემები არ არის.

აღსანიშნავია, რომ არაბულ ქვეყნებში ბოლოდროინდელ სექსუალური რევოლუციის და სექსუალური პროტესტების თემას, მედიაში და სოციალურ ქსელებში ყველაზე აქტიურად განიხილავენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ უცნობმა ეგვიპტელმა გოგონამ ალია ელ-მაჰდიმ თავისი შიშველი ფოტოსურათებით ინტერნეტ-თანამეგობრობა ააფეთქა და მსოფლიო მედიის ყურადღება მიიპყრო. მისი გვერდი მილიონობით ადამიანმა ნახა.

– ეს არის დარტყმა ეგვიპტურ საზოგადოებაში გავრცელებულ რასიზმზე, პირმოთნეობაზე და სექსუალური ძალადობაზე, – წერდა დასავლური მედია.

ალია ელ-მაჰდიმ თავის ბლოგში განთავსებულ ღია ფოტოებზე ასეთი წარწერა გააკეთა: „მე ნებისმიერ ადგილას, თავისუფალი ცხოვრების უფლება მაქვს;...ბედნიერი ვარ, როდესაც თავს აბსოლუტურად თავისუფლად ვგრძნობ“.

„შიშველი რევოლუციის“ მიმართ ლებერალურად განწყობილი ზოგიერთი კომენტატორი შიშობს, რომ ხელისუფლების რეაქცია მალე და თანაც ძალიან მკაცრი იქნება.

ამის შემდეგ დაახლოებით ორმოცდაათმა ებრაელმა ქალმა ეგვიპტელ ალია მაგდა ელ-მაჰდის ასევე გაშიშვლებით მხარი დაუჭირა. სკანდალური ეგვიპტელის გამო სოციალურ ქსელებში ნამდვილი „შიშველი რევოლუცია“ დაიწყო.

კოლექტიური „შიშველი პროტესტის“ იდეა 28 წლის აქტივისტ, მომღერალ და მუსიკოს ორ ტეპლერს ეკუთვნოდა. მან სოციალური ქსელის საშუალებით ებრაელ ქალებს მიმართა მოწოდებით, რომ ეგვიპტელი ბლოგერის სოლიდარობის ნიშნად ფოტოებიექტივის წინ გაეხადათ.

– შესაძლებლობა გვაქვს მხარი დავუჭიროთ ქალს, რომელიც ჩვენ გვგავს: ახალგაზრდაა, ამბიციური, იმედებით სავსე და როგორც ჩანს, იუმორსაც ფლობს. გოგონებო, მოდით მსოფლიოს შიშველი ებრაელი ქალების ნახვის შანსი მივცეთ, – ნათქვამი იყო მიმართვაში.

დარბაზმა მხოლოდ 40 „მოდელი“ დაიტია. ტეპლერის თქმით, ფოტოსესიის მონაწილეებს შორის არცერთი ნუდისტი არ ყოფილა. ფოტოებიექტივის წინ ბევრმა დაიმორცხვა და ბოლომე არ გაიხადა, როგორც ეს წინასწარ შეთანხმებული იყო. საბოლოოდ გადაღებების მონაწილეები დაიმალნენ პლაკატის უკან, რომელზეც ივრითზე, ინგლისურზე და არაბულზე ეწერა: „სიყვარული საზღვრებს გარეშე“.

# ირანი ისრაელს 150 ათასი რაკეტით ემუქრება

ირანი ისრაელს 150 ათასი რაკეტით შეტევით ემუქრება, თუ თელ-ავივი საომარი მოქმედებების დაწყებას გადაწყვეტს.

როგორც გამოცემა „კურსორი“ იუწყება, ამ განცხადებით ირანის თავდაცვის მინისტრი ახმედ ვაჰიდი გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ისრაელი პალესტინასა და ლიბანში ჩადენილი დანაშაულებისთვის დასჯას იმსახურებს“.

ადრე ირანის ისლამური რევოლუციის სულიერი ლიდერის მრჩეველმა, გენერალ-მაიორმა რახიმ საფავიმ განაცხადა, რომ „ისრაელს არ აქვს ისეთი ადგილი, სადაც ირანული რაკეტები ვერ მიაღწევს“.

მისივე თქმით, „რაკეტების რაოდენობა და მათი ფრენის დიაპაზონი შეზღუდული არ არის“.

გენერალმა აღნიშნა, რომ „თუ ისრაელი და მისი მოკავშირეები ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებენ, საპასუხო სარაკეტო დარტყმა ისეთი ძლიერი იქნება, რომ რეგიონში აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო ფარი მის ასახვას ვერ შეძლებს“.

ცნობისთვის, ირანის ისლამური რესპუბლიკა – სახელმწიფო აზიის სამხრეთ-დასავლეთით. დედაქალაქი – ქალაქი თეირანი.

ჩრდილოეთ-დასავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს, დასავლეთით ესაზღვრება ერაყს, აღმოსავლეთით ავღანეთსა და პაკისტანს.

ირანი არის ერთ-ერთი



უძველესი სახელმწიფო მსოფლიოში. პირველი პროტოირანული სახელმწიფო ელამი წარმოიშვა ჩ.წ.-მდე III ათასწლეულში. დარიუს I-ის დროს (550 – 486 წლებში) ირანის სახელმწიფო გადაჭიმული იყო საბერძნეთიდან მდინარე ინდამდე. ირანი არის ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) შექმნის ადგილი. XVI საუკუნესთვის ირანის რელიგია ხდება მაჰმადიანობა.

1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით, რომლის შედეგადაც ირანში გაუქმდა მონარქია და შექმნა ისლამური რესპუბლიკა.

დასავლეთ აზიაში ირანის ეკონომიკას უკავია მეორე ადგილი განვითარების მხრივ და ასევე არის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული სახელმწიფო.

მოამზადა გერა მამულაშვილმა



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედგენის შესახებ; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 4. მრავალფეროვანი ყვავილის მქონე ბოლქვიანი მცენარე; 5. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 10. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. გზის საფარი; 15. კათოლიკური ეკლესიის მცველი; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ვენეციური ნავი; 20. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**თარაზულად**: 6. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 7. საფრანგეთის პრეზიდენტი; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. უხმო სიცილი; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 18. კვირის ერთ-ერთი დღე; 19. კრივში, მოკლე პირდაპირი დარტყმა კორპუსზე; 21. მონღოლი მწყემსი; 22. ისტორიული მხარე შავი ზღვის სანაპიროზე, ეგრისის სამეფოს ნაწილი; 23. ზღვის სიღრმეების საკვლევი ჰერმეტული კამერა; 24. გაგრის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ფასკუნჯი; 6. კრომველი; 8. უდისციპლინო; 10. პასტორი; 11. აირი; 12. ესკიზი; 14. ლენტო; 17. ანარა; 19. დერბი; 20. პიროტინი; 21. იორი; 22. დიდაქტიკა; 23. სირიუსი.

**შვეულად:** 1. მანდილი; 2. როსტბიფი; 3. კლასერი; 5. უმწიკვლო; 7. თირსოსი; 9. დიაგონალი; 13. კაპრიზი; 15. ეფენდი; 16. ლიმიტი; 18. კრივი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ასაკი; 2. იპრი; 3. პი; 4. დია; 5. პია; 6. სკარამუში; 7. პადუა; 8. ბმო; 9. ოკაპი; 10. ბამბუკი; 11. ბალანსი; 12. პარადი; 13. ფხა; 14. პრაიდი; 15. მრევლი; 16. ამწე; 17. ლანა; 18. პუერარია; 19. ალალი; 20. ოზმა; 21. მა; 22. ხმა; 23. მეგრე; 24. იგლუ; 25. კოლობუსი; 26. არე; 27. გაი; 28. პრეზერვი; 29. ზაუერი; 30. პეტიცია.

**სურათებზე:** რენე ზელვეგერი; ემანუელ ადებაიორი.

# „ტელეგრაფი“: ივანიშვილი ცდილობს, კავშირი დაამყაროს თითქმის ყველა წამყვან ოპოზიციურ პარტიასთან და თანახმაა დააფინანსოს ისინი

„ტელეგრაფის“ ჟურნალისტი ენდრიუ ოსბორნი ქართველ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დეტალებს სტატიაში აღწერს.

„ბიძინა ივანიშვილი ის ქართველი მილიარდერია, რომლის სახელიც არასდროს გსმენიათ და რომლის ჰაი-ტექ სასახლე სავსეა ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშებით. მაგრამ მისი თქმით, ის მზადაა, საქართველოს გადარჩენას პრივატულობა შესწიროს. მისი მინისა და ლითონის სასახლე საქართველოს დედაქალაქს, თბილისს ზევიდან ისე გადმოჰყურებს, თითქოს უფრო მეტს გამოხატავს, ვიდრე მუქარაზე მინიშნებას“, – წერს ჟურნალისტი და დასძენს, რომ ეს კომპლექსი, რომელიც £30 მილიონი დაჯდა და იაპონელი ფუტურისტი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს პროექტითაა ნაგები, ათ წელზე დიდხანს შენდებოდა.

„შენობის ზედა ორი სართული მთლიანად მინისაა, ხოლო სახურავზე ასაფრენი მოედანია. 10,000 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე დგას მინის კოშკიც, რომელშიც მრგვალი საცურაო აუზია. ლითონის გიგანტურ მბრუნავ სფეროში, რომელიც აუზის თავზე კიდია, პრივატული კაფეა, ხოლო გარემომცველ ბაღებში ზაჰა ჰადიდის, ანიშ კაპურის, დემიენ ჰერსტის და ჰენრი მურის სკულპტურებია მიმოფანტული. დადის ხმები, რომ აქ ზოოპარკიც კი აქვთ, ზებრებით და პინგვინებით, მაგრამ ჩემი ამასწინანდელი ვიზიტისას, ეს ვერ შევნიშნე. საშტატო შემადგენლობა, გორაკზე მდებარე ამ ცენტრში, გოლფის ელექტრომანქანებით დაქრის, ხოლო შავ ფორმაში ჩაცმული დაცვის წევრები ერთმანეთს რადიოგადამცემებში ეჩურჩულებიან“, – ვკითხულობთ ოსბორნის სტატიაში.

ავტორის თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ ვიზიტორებს მფლობელის თანამშრომლები ისე ხვდებიან, თითქოს ეუბნებიან: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯეიმს ბონდის სახლში.“ სასახლის ინტერიერი არანაკლებ ექსტრაორდინარულია. მფლობელის 1 მილიარდიანი არტკოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი აქ არის გამოფენილი, თუმცა საინტერესო მოულოდნელობით. პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატასთან“ ერთ-ერთ კედელზე კიდია (2006 წელს ის $95.2 მილიონად შეიძინეს), მაშინ, როდესაც ეგონ შილეს ტილოები, რომელიც 40 მილიონი დოლარი ღირდა, მთავარ ოფისს ამშვენებს. მოულოდნელობა? აქ მხოლოდ ასლებია – იმის შიშით, რომ ნაღდი ფულის მაძიებელი მთავრობა გამოსძალავს, ყველა ორიგინალი ლონდონშია გადამალული.

„ადგილობრივები წლების მანძილზე კითხულობდნენ, ვინ შეიძლება იყოს მინის სასახლის მფლობელი და გარე სამყაროს ცნობისწადილიან მზერას მეპატრონემ მხოლოდ სულ ახლახან გაუღო კარი. გაიცანით ბიძინა ივანიშვილი, ქართველი ოლიგარქი ბანკირი, რომლის ქონება 3.5 მილიარდ ფუნტადაა შეფასებული და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ჩამონათვალში 185-ე ადგილზეა. 55 წლის მაგნატი, რომელსაც მეუღლე და ოთხი შვილი ჰყავს, ბოლო დრომდე ცნობილი იყო, როგორც უჩინარი ადამიანი. წარსულში მან პრესას ინტერვიუ მხოლოდ ერთხელ მისცა და იოლად ვერც მის ფოტოს იშოვნიდით. ის ადამიანი-გამოცანა გახლდათ. ივანიშვილი უკიდურეს გაჭირვებაში საბჭოთა საქართველოში 1956 წელს დაიბადა – ქვეყნის ყველაზე ცნობილი შვილის იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ. მშვიდად მოსაუბრე, მაღაროელის შვილმა მუშაობა ქარხნის დამლაგებლად დაიწყო და მეზობელ რუსეთში უზარმაზარი ბიზნეს იმპერია განავითარა. გასულ თვეში, ის როგორც იქნა ჩრდილიდან გამოვიდა, პოლიტიკაში შეაბიჯა და თავისი მზერა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში უმაღლეს თანამდებობას მიაპყრო.

გასულ კვირაში, ბ-ნმა ივანიშვილმა თავის კოშკში თჰე შუნდაყ თელეგრაპჰ-ს და სხვა უცხოელ ჟურნალისტებს უმასპინძლა, რათა მსოფლიოსთვის თავი გაეცნო“, – ვკითხულობთ სტატიაში.

ოსბორნის თქმით, შეხვედრა ივანიშვილის კაბინეტში გაიმართა, სადაც მისი საყვარელი ნამუშევრებია, მათ შორის კლოდ მონეს ტილო. ძვირადღირებულ, მაგრამ მოკრძალებულ ნაცრისფერ იტალიურ კოსტუმში გამოწყობილი და რადოს საათით ხელზე, უზადოდ დავარცხნილი ოლიგარქი (არაკეთილისმსურველები მას „გრაფ დრაკულას“ეძახიან) მშვიდად და დამაჯერებლად საუბრობს, ისე, როგორც ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივ თავისას ყოველთვის აღწევს. ის ყოველმხრივ ცდილობს იმის ხაზგასმას, რომ პოლიტიკა საშინლად არ უყვარს, არ აქვს გრძელვადიანი პოლიტიკური ამბიციები, და რომ ამჯობინებდა წარსული ცხოვრების გაგრძელებას, ვიდრე ახალი კარიერის დაწყებას 55 წლის ასაკში.

„პრივატულობა დღემდე ჩემი ცხოვრების გზა იყო“, – ამბობს იგი. „არ მიყვარდა ფორმალური შეხვედრები, რადგან ის თავისუფლებას მართმევდა. მე მხოლოდ ჩემს მეგობრებთან მიყვარდა დროის გატარება, სადაც შემეძლო ვყოფილიყავი ისეთი როგორიც ვარ, და ნიღბის გაკეთება არ მჭირდებოდა“.

მაგრამ ის ამბობს, რომ თავი ვალდებულად ჩათვალა, უარი ეთქვა პრივატულ ცხოვრებაზე, რათა გადაერჩინა მისი მშობლიური საქართველო მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მცოცავი დიქტატურისგან.

„გულწრფელად რომ გითხრათ, არჩევანიც არ მქონდა“, – დასძენს იგი და მისი ინტონაცია მძაფრდება. „საქმე ქვეყანას ეხებოდა“.

„მათ მოკლეს დემოკრატია, თავიდან მოიშორეს მედია, და განსხვავებულ აზრს გასაქანს არ აძლევენ. ეს კლასიკური ავტორიტარული მთავრობაა და არსებობს ნიშნები იმისა, რომ ის დიქტატურად გადაიქცეს“.

„მისი გენერალური გეგმის თანახმად, სჯერა, რომ მომავალ წელს ის და მისი მოკავშირეები საპარლამენტო არჩევნებში იოლად გაიმარჯვებენ, და რომ ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდება – თანამდებობა, რომელიც პრეზიდენტის პოზიციაზე მეტი უფლებმოსილებით იქნება აღჭურვილი. „მე მინდა გავხდე პრემიერ-მინისტრი, ვიმუშაო ორი წელი და შემდეგ წავიდე და თავი მივუძღვნა საზოგადოებრივ საქმიანობას“, – გვიხსნის იგი, საუბრობს რა ოდნავ რუსული აქცენტით. „პოლიტიკა არასდროს მიყვარდა. [მაგრამ] მე ვარ ერთადერთი ფიგურა, რომელსაც ახლა ხალხი ენდობა“. მისმა გადაწყვეტილებამ პოლიტიკაში ჩართულიყო, რამაც მისი ჯეიმს ბონდისეული ცხოვრების წესი გაასაჯაროვა, მის ოპონენტებში გაოცება გამოიწვია. ისინი მას კრემლის მარიონეტს უწოდებენ, რომელსაც ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დაბრუნება უნდა“, – წერს „ტელეგერაფი“.

„ივანიშვილის განცხადებები ჰარმონიაშია იმ ქვეყანასთან, რომლის ბრძანებებითაც ის მოქმედებს“, – ამტკიცებდა ახლახან მმართველი პარტიის დეპუტატი ნუგზარ წიკლაური, გულისხმობდა რა რუსეთს. კიდევ ერთმა დეპუტატმა მმართველი პარტიიდან და ქვეყნის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა ასევე დაადანაშაულა ჩუმი ქველმოქმედი, რომ ის კრემლის გავლენის ქვეშაა. „მისი ქონება რუსეთშია, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთს მასზე სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს. ის შეიძლება ძალიან ახლოს იყოს [რუსეთის პრემიერ მინისტრ ვლადიმირ] პუტინთან და ეს შესაძლოა ბერკეტად იქნას გამოყენებული“, – დეპუტატის სიტყვებს ციტირებს ჟურნალისტი და დასძენს, რომ ივანიშვილს რუსეთთან მართლაც სერიოზული კავშირები აქვს. მას აქვს რუსული პასპორტი (აქვს ასევე ფრანგული პასპორტი და ბოლო დრომდე ქართული პასპორტიც ჰქონდა), მან საკუთარი ქონება იქ ქაოტურ 1990-იან წლებში დააგროვა. ბიზნესი კომპიუტერების რეალიზაციით დაიწყო და შემდეგ საქმიანობა საბანკო ბიზნესსა და რკინის ინდუსტრიაში განაგრძო. ეს მოქმედებისთვის სასტიკი და დიდწილად არალეგალური გარემო იყო, და მისი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ წინსვლისთვის მას რუსეთის ხელისუფლებასთან მლიქვნელობა დასჭირდებოდა.

ოსბორნის თქმით, ივანიშვილს რუსეთში დიდი აქტივები დღემდე აქვს, მათ შორის უძრავი ქონების იმპერია, ფარმაცევტული ქსელი და წილი რუსეთის გაზის გიგანტ „გაზპრომში“. ის ადასტურებს, რომ რუსეთის პირველ პოსტ-საბჭოთა პრეზიდენტ ბორის ელცინს იცნობდა, მაგრამ ამტკიცებს, რომ არასდროს შეხვედრია პუტინს, და რომ ის კრემლის მარიონეტი არ არის. მან პირობა დადო, რომ ასეთი ბრალდებების გასაქარწყლებლად ის მთელ მის რუსულ აქტივებს გაყიდის.

„მთავრობა ცდილობს რუსეთის კაცად წარმომაჩინოს, რადგან ჩემს წინააღმდეგ არაფერი აქვთ. მე ყოველთვის ჩემი სინდისის თანახმად ვცხოვრობდი და ჩემი წარსული სუფთაა. რუსეთში ცხრა წელია არ ვყოფილვარ და ადამიანებმა რომლებიც მიცნობენ იციან, რომ არ ვარ ის ადამიანი, რომელზეც შეიძლება ზეწოლა განახორციელო, რათა საკუთარ პაიკად აქციო“, – ციტირებს ივანიშვილის სიტყვებს ავტორი.

„თუმცა წარსულში ის პუტინზე არაერთგვაროვნად საუბრობდა, განაცხადა რა რომ რუსეთი „არადემოკრატიული სახელმწიფოს ყველაზე უარესი მაგალითი არ არის“ და რომ რუს ხალხს მოსწონს პუტინი და ეს „მათი არჩევანია“. საქართველოში პოლიტიკოსისთვის პრორუსულობის ბრალდება, სერიოზული ტვირთია. ქვეყანა იბრძოდა და დამარცხდა რუსეთთან ომში 2008 წელს, რასაც მისი ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა მოჰყვა, და ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე შეწყვეტილია. თუმცა, ბ-ნ ივანიშვილს სჯერა, რომ ის არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ამ ურთიერთობების აღდგენა და იმ ტერიტორიებისთვის ბრძოლა, რომელიც საქართველომ რუსეთის მხაარდაჭერილ რეჟიმებთან დაკარგა“, – ვკითხულობთ ოსბორნის სტატიაში.

„მთავრობა აქეზებს რუსეთის აგრესიის შესახებ ისტერიას. მათ სურთ ხალხის დაშინება, და ამის [რუსეთის საკითხის] გამოყენება პოლიტიკური თამაშის ნაწილად. მაგრამ ჩვენ უნდა დავალაგოთ რუსეთთან ურთიერთობა, მოგვწონს ეს თუ არა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ“, – ციტირებს იგი ივანიშვილის სიტყვებს.

მისვე თქმით, საქართველოს პრო-დასავლურმა მთავრობამ აშშ-ში განსწავლული იურისტით მიხეილ სააკაშვილით სათავეში, რომელსაც ივანიშვილთან ერთ დროს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მისი პოლიტიკურ ოპოზიციაში გამოჩენის შოკური გადაწყვეტილება, სასტიკად მიიღო. მას შემდეგ, რაც ოქტომბერში, თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ საჯაროდ განაცხადა, ბ-ნ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, მას სასტიკად აკრიტიკებს მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედია, მისი ბანკის საინკასაციო მანქანა დააკავეს და მილიონობით ფუნტი ჩამოართვეს, ჩამოართვეს პოლიტიკური შტაბ-ბინაც.

„მათ ჩემი ეშინიათ. ჩემი მეუღლე ამბობს, რომ ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ დაცული ვიყავით და რომ ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა“, – ოსბორნის თქმით, დასძენს ივანიშვილი მსუბუქი ღიმილით.

„ივანიშვილი, რომელიც თავის პოლიტიკურ მოძრაობას „ქართულ ოცნებას“ მომავალ თვეში აფუძნებს, ცდილობს კავშირი დაამყაროს საქართველოს თითქმის ყველა წამყვან ოპოზიციურ პარტიასთან და თანახმაა დააფინანსოს ისინი. ის ამბობს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ის დარწმუნებულია, რომ მოქმედ მთავრობას მოიშორებს, არის იმიჯი, რომელიც მას რიგით ქართველებში აქვს – ჩუმი ქველმოქმედი. მან დააფინანსა თბილისის უდიდესი კათედრალის მშენებლობა, გულუხვად დაუფინანსა „ხელფასები“ ასობით, თუ ათასობით არა, კულტურის მოღვაწეს, დაწყებულს მსახიობებიდან ბალერინებით დასრულებული, და ამტკიცებს, რომ ქველმოქმედებაში ყოველთვიურად საშუალოდ 10 მილიონ დოლარს ხარჯავს. მის მშობლიურ სოფელში, ადგილობრივები ყოველთვიურად საჩუქრად 80 ფუნტს იღებენ, ასევე საჩუქრად იღებენ 1,200 ფუნტს ქორწინების შემთხვევაში (ქორწილის ხარჯები ცალკე იფარება) და უსასყიდლოდ გარანტირებული აქვთ გარემონტებული სახლები, ან მათი აღდგენა ყველა აუცილებელი ტექნიკის და ავეჯის ჩათვლით. მაგრამ ბატონი ივანიშვილი ამბობს, რომ მისი სიმდიდრის ყველაზე დიდი ხიბლი იმაშია, რომ ეს შესაძლებლობას აძლევს მას თავისუფალი იყოს მთავრობისგან, რომელიც ასე არ მოსწონს“, – ნათქვამია სტატიაში.

„რა არის მდიდრული ცხოვრების სტილი? მე მაქვს ვილა ჩემს სოფელში, ვილა სანაპიროზე და აქ. დაკავებული ვარ იოგათი ყოველდღიურად, ცოტა სპორტით, ვიკვებები დღეში ერთხელ, ვჭამ ხილს და ვსვამ დღეში ერთ ჭიქა ღვინოს. თვეში ერთხელ ვკრებ ახლო მეგობრებს. მაგრამ მე და ჩემს მეუღლეს თვალშისაცემი სიმდიდრე არ გვიყვარს“, – ოსბორნის მტკიცებით, აცხადებს ივანიშვილი.

მისივე თქმით, ივანიშვილმა თბილისში სასახლე უკან მდებარე მდიდრული ბოტანიკური ბაღების გამო ააშენა, რომელიც სტუდენტობის დროს ძალიან მოსწონდა. მიუხედავად მისი მსოფლიო დონის არტ-კოლექციისა, ის „ხელოვნების განსაკუთრებული მოყვარული“ არ არის; არამედ აგროვებს კოლექციას გუგენჰაიმის ტიპის მუზეუმისთვის, რომლის გახსნაც მას აქ, საქართველოში უნდა.

„ჩემი ფული ნიშნავს იმას, რომ მე აქ მცხოვრები ერთადერთი თავისუფალი ადამიანი ვარ. ისინი მე ვერ მაკონტროლებენ. მე შეიძლება პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ იმისთვის რისიც მწამს, ცხოვრების ბოლომდე ვიბრძოლებ“, – მოჰყავს ივანიშვილის სიტყვები ბრიტანელ ჟურნალისტს.

სტატიის ქართულ თარგმანს „ფორეინპრესი“ აქვეყნებს.

*მედიანიუსი*

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ნანა და ქეთევან არჩაიები, შვილიშვილები თეო და დავით ქვარაიები, დისშვილები ჩარიტა, რიჩარდი, გიორგი, ჭოლა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იზა (იზიდა) ივანეს ასული ტაბაღუა**

პანაშვიდი: 29, 30 ნოემბერს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 1 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ბუდაპეშტის 3ბ, III სადარბაზო, III სართული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი, ქალბატონი

**თინა ხაჩიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წევრი, გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში ქ.სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილე

**ოთარ ჯღერია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მარი მალაზონიას

**ანზორ მალაზონიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 29 ნოემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. **"მეორე შანსი"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ნადირობა "წითელ ოქტომბერზე"** (შ. კონერი) **01.50** კავკასუს ლაივი **03.20** მხ. ფილმი **"ზოფა"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფ. **"გამცილებლები და დამხვდომები"** **21.30** ევროკავშირი და საქართველო **01.00** მხ. ფ. **"რბოლა მთვარესთან ერთად"** (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მელომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.50** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) **03.50** მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (ლ. ტაილერი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მეათე სამეფო"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **23.40** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "აფხაზეთშიც დამარცხდა ომი" **11.00** სღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"აკაკის აკვანი"** **13.35** კონცერტი – მ. სეფაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** **16.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "ლელოს შემობრუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** წარმატების ფორმულა **19.15** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სამშვიდობო ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"გამგზავრებელთა კლუბი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 ნოემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6613 | ევრო —2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5–10, ღამით — 0–1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით —12–17, ღამით — 5–8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 1–3, ღამით — -10–0

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისთვის







# 30 ნოემბრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი – ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

**გამოსაცემად მზადდება:**

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## ასტროპროგნოზი
29 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – დაისვენეთ და გაერთეთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს. **ქალწული** – თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია იაქტიუროთ. **სასწორი** – უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, ის სიურპრიზს გიმზადებთ. **მერწყული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, პრობლემი დაგავიწყდებათ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კუნძულოვანი სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 2. ლექსის, სიმღერის სტროფი; 3. სპარსეთის ძველი დედაქალაქი; 4. ფრანგი ნერვოპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი; 5. ყველაზე დიდიდ ქალაქი შოტლანდიაში; 11. მოუსავლიანი, მწირი ნიადაგი; 12. შემაგრებული სპორტული ღვინო; 14. ძველებური ხალხური თქმულება; 16. ძვირფასი ლითონი; 17. საადგილმამულო ბანკი მე-19 საუკუნის საქართველოში; 19. ბოსტნეული მცენარე; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. რაიონული ცენტრი კახეთში; 8. იაპონელი მოდელიორი; 9. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. ნორვეგიელი მკვლევარის ტურ ჰეიერდალის ერთ-ერთი საექსედიციო ნავის სახელწოდება; 20. სუსტი არაყი; 21. დამჟავებული ბოსტნეული; 23. შტატი აშშ-ში; 24. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა.




## გარი სპიდი საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს



საფეხბურთო სამყაროში კარგად ნაცნობი ფიგურა, უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გარი სპიდი საკუთარ სახლში, თოკზე ჩამომხრჩვალი ნახეს.

– უელსის საფეხბურთო ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გარი სპიდი გარდაიცვალა. მწუხარებას გამოვთქვამთ და მის ოჯახს თანაგრძნობას ვუცხადებთ. ყველას ვთხოვთ ამ მწუხარების დროს მისი პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემა გამოიჩინოს, – აღნიშნულია უელსის საფეხბურთო ასოციაციის განცხადებაში.

გარი სპიდი მსოფლიო მასშტაბით ძალიან ცნობილი ნახევარმცველი გახლდათ. უელსის ნაკრებში 85 მატჩში 7 გოლი გაუტანია, სპიდის საკლუბო კარიერა „ლიდსში“, „ევერტონში“, „ნიუკასლში“, „ბოლტონსა“ და „შეფილდ იუნაიტედში“ წარიმართა. 2010 წელს ყოფილმა ნახევარმცველმა სამწვრთნელო კარიერაც შეფილდურ კლუბში დაიწყო, იმავე წლის დეკემბერში კი ეროვნული ნაკრები ჩაიბარა.

სწორედ სპიდის თავკაცობით, უელსელებმა ევროშესარჩევის ბოლო მატჩები მშვენივრად ჩაატარეს – მოუგეს შვეიცარიას, ჩერნოგორიასა და ბულგარეთს.

სპიდს 1994 წელს თბილისშიც უთამაშია საქართველო-უელსის შეხვედრაში, რომელიც ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილებმა 5:0 მოიგეს

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ჯგუფი „სენდი“ სომხეთშია



**2011 წლის საბავშვო ევროვიზიის ფინალამდე რამდენიმე დღე დარჩა. წელს ამ ფესტივალს სომხეთი და კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი მასპინძლობს, სადაც კონკურსში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები იკრიბებიან. საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „სენდი" და ჩვენი ქვეყნის დელეგაცია უკვე სომხეთშია. 2011 წლის საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა დანარჩენი კონკურსანტებისთვის ტკბილეული და საკონკურსო სიმღერის კომპაქტდისკები ჩაიტანა. „სენდის" გამოსახულებიანი შოკოლადები და კანფეტები საკონდიტრო პროდუქციის მწარმოებელმა „ტკბილმა ქვეყანამ" სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დაამზადა.**

ეკა ირემაშვილი

კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში რეპეტიციები სამშაბათიდან დაიწყება. საბავშვო ევროვიზიის კონკურსანტები, დელეგაციები პრესის წარმომადგენლები სომხეთში იკრიბებიან. კონკურსანტი ქვეყნების დელეგაციებს ბევრი სიურპრიზი ელით. დაგეგმილია ისტორიული ადგილების მონახულება, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. სტუმრებს სომხური სამზარეულოს დაგემოვნების საშუალებაც ექნებათ.

– ორგანიზატორები თავდაუზოგავად ვმუშაობთ, რომ კონკურსი მაღალ დონეზე ჩატარდეს. შევეცდებით კავკასიის რეგიონის უძველესი კულტურა თანამედროვე ევროპულს საინტერესოდ შევუხამოთ. კონკურსანტი ქვეყნების დელეგაციებს ბევრი სიურპრიზი ელით. დაგეგმილია ისტორიული ადგილების მონახულება, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. სტუმრებს სომხური სამზარეულოს დაგემოვნების საშუალებაც ექნებათ. საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე მოწვეული სტუმრები ცნობილი სახეები იქნებიან, რომელთა ვინაობაც ჯერ საიდუმლოდ რჩება. ევროვიზიის ჰიმნის შესახებ, ინფორმაციას სიურპრიზად დავტოვებ, ეს დეტალები მოგვიანებით გახმოვანდება, – განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

წლევანდელი საბავშვო ევროვიზიის სტუმრები სირუშო და ვლადიმირ არზუმანიანი იქნებიან. ვლადიმირ არზუმანიანი რიგით მერვე საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული გახდა. სირუშო 2008 წლის ევროვიზიის მონაწილეა. მან მეოთხე ადგილი დაიმსახურა.

ევროვიზიის კონკურსების ისტორიაში ფლეშმობი ტრადიციად იქცა. 2011 წლის საბავშვო ევროფესტი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე